კვირა, 1 ივნისი 1924 წ. მეორე წელიწადი პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამართლის ხმა

№ 28 ყოველკვირეული ჟურნალი № 28

რედაქცია და კანტორა
ტფილისი, ალმასკოპი, ოთახი № 58

ფ ა ს ი
5 კაპ. ბაჯაღლო ოქროთი

რედაქცია და კანტორა
ღ ი ა ა ყოველ დღე { დილის 8—1 / სალამოს 3—5 -დე.
კვირა-უქმე დღეს 10—3 ს.-დე.

ლონდონის კონფერენციის გარშემო

ჩვენი საშინაო და საგარეო მდგომამარეობა თან და თან მტკიცდება. მთელი რიგი ღონისძიებათა, რომელიც გაატარა საბჭოთა ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა უნაყოფოდ არ ჩაივლიდა იქ, სადაც ამ ღონისძიებათა გამტარებელიც და მეთაურიც მუშათა კლასია.

სამეურნეო პოლიტიკის შედეგები უკვე სჩანს.

ჩვენ უკვე აღარა ვართ იმდენათ სუსტები, რომ გვიჭირდებოდეს უსათუოდ დასავლეთისაკენ ცქერა, ჩვენი სახელმწიფო საკმაოთ მაგრა სდგას დღეს საკუთარ ფეხზე, პოლიტიკურსა და ეკონომიურ ფრონტზეც, იმისათვის, რომ უცხოეთიდგან საკმაოთ დამოუკიდებლათ იგრძნოს თავი. რა თქმა უნდა, ასეთი საშინაო მდგომარეობა შესაფერის გავლენას ახდენს ჩვენს საგარეო მდგომარეობაზეც.

შინ მაგარ ნიადაგზე დამყარებული, ზურგ მომაგრებული ჩვენი ახალი, სოციალისტური სახელმწიფო, საკმაოთ ძლიერი და ღონიერია დღეს გარეთაც. დახავსებული ევროპა იძულებულია ანგარიში გაუწიოს მას, ეძიოს მასთან საერთო ენა, სცადოს დაახლოვება. მართალია საერთო ენას ევროპა წინათაც, სამოქალაქო ომის პროცესშიაც ეძიებდა ჩვენთან, კრამოლნიკებთან, მაგრამ ეს ენა იყო ცეცხლისა და მახვილის ენა. ენა ბრძოლისა იარაღით ხელში. ეს ენა ევროპას ჩვენი კავშირის პროლეტარიატმა მოსჭრა.

ეხლა უკვე სხვა ენა აქვს მას ჩვენთან სალაპარაკოთ გამონახული.

ენა—დიპლომატიის, მშვიდობიანი მოლაპარაკების.

ამ იარაღით გველაპარაკება დღეს ჩვენ ინგლისი ლონდონის კონფერენციაზე

გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის ინგლისი პირველია ჩვენთან რომ მოლაპარაკება დაიწყო.

ინგლისი პირველია იმათში, ვინც ცეცხლის და მახვილის შემდეგ, იცვალა მხარი და სხვა ენით ალაპარაკდა.

სამოქალაქო ომში დამარცხებულმა ინგლისმა, ისევ მშვიდობიანის გზით შეეცადა ჩვენთან მოლაპარაკება, „საქმის" „გაკეთება".

ამის შედეგია ლონდონის კონფერენცია, რომელიც უკვე კარგა ხანია მუშაობს. დღემდის მისი მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

მართალია, ინგლისის ბურჟუაზია შეეცადა წაეგლიჯა ჩვენთვის ის რაც მან ვერ მიიღო იარაღის საშვალებით, მაგრამ ვერას გახდა, ვინაიდგან წინ აღუდგა ჩვენი დელეგაციის სიმტკიცე და გარკვეული აზრი.

ცნობილი მემორანდუმი ინგლისის ბურჟუების მიერ კონფერენციისადმი წარდგენილი, იტევს თითქმის ყველა უმთავრეს მუხლებს, მათი მოთხოვნილებისას.

რა თქმა უნდა საბჭოთა დელეგაცია ვერ მიიღებდა იმას რაც აღნიშნული იყო მემორანდუმში.

მოსალოდნელი იყო, რომ მდგომარეობა გართულდებოდა, მაგრამ საბჭოთა დელეგაციის გარკვეული პასუხის შემდეგ მემორანდუმი სადღაც მიიჩქმალა. ამ ჟამათ კონფერენცია მიადგა ფრიად რთულ საკითხებს. ვალების და სესხის საკითხებს. პირველი ცნობები დამაკმაყოფილებელია

სჩანს კონფერენცია შესძლებს ამ კითხვების მოგვარებას.

ინგლისის გამოქნილი დიპლომატები გრძნობენ რომ ჩვენ საკმაოთ ძლიერები ვართ ეხლა. და ეს შესაფერის ელფერს აძლევს კონფერენციის მუშაობასაც.

ს. ს. რ. კავშირის მშრომელი მასა დიდი ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს ლონდონის კონფერენციის მუშაობას, და ამავე დროს გაორკეცებული ენერგიით განაგრძნობს თავის შინაურ საქმეების კეთებას, ვინაიდგან იცის, რომ მხოლოდ ძლიერ პროლეტარულ სახელმწიფოს შეუძლია დაიცვას მშრომელი ხალხის ინტერესები.

ხმა საფლავიდან.

ამბობენ, მკვდრები არ ლაპარაკობენო. ეს არ ყოფილა მართალი. თურმე ხანდახან მკვდრებიც ლაპარაკობენ.

ხელში მაქვს ორი ფურცელი. ერთია გამოცემა საქართველოს სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის; მეორე ახალგაზრდა სოციალ-ფედერალისტების სარევოლიუციო პარტიის ცენტრალური კომიტეტის". უქმარო გენერლები, რომლებიც დიდი ხანია დაასამარა მშრომელმა ხალხმა, ბუტბუტე-

ბენ რაღაცას, ლაპარაკობენ გაუგებარ ენაზე.

ახალგაზრდა ფედერალისტების ცეკა მოუწოდებს ქართველ ხალხს(!) შესწორონ სამშობლოს სიყვარულს თავი; ისინი არ ივიწყებენ ქალიშვილებსაც რომლებიც გმირულად შეებრძოლებიან მტრებს(?).

მენშევიკების ცეკა სწერს, რომ „ამ წელს ქართველი ერი ვერ შეხვდა ჩვეულებრივი ზეიმით, (ლაპარაკია 26 მაისზე ნ.). მაგრამ საქართველოს დროშა მაინც იფრიალებს ყველა იმათ გულში, ვისაც უყვარს თავისი სამშობლო“.

მეორე ადგილას სწერია: „მთელი ქართველი ნაცია პარტიების განურჩევლად ეწევა განუწყვეტელ ბრძოლას დამპყრობელების წინამღდეგ. ეს ბრძოლა ძნელი და ხანგრძლივია. მაგრამ მომავალი ჩვენია“.

თუ მთელი ქართველი ნაცია განუწყვეტელ და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს, როგორც ეს ვაჟბატონები სწერენ, მაშინ რაღათ დასჭირდათ ლაპარაკი, რომ ქართველი ერი 26 მაისს ვერ შეხვდა ჩვეულებრივი ზეიმი.?

თუ ქართველი ერი ებრძვის საბჭოთა ხელისუფლებას და მტკიცედ სდგას 26 მაისის პოზიციაზე, ამ დღეს უბრალო დემონსტრაციით მაინც აღნიშნავდა!

მაგრამ უჯარო გენერლები თავიდანვე მიხვდენ, რომ ამ დღეს მათ არავინ გაყვებოდა. განა ისინი ვერ გრძნობენ, რომ ქართველი მშრომელი ხალხი მათთან არაა? ამიტომ გული მაინც მოიფხანეს. იმედიც კაი საქონელია.

—„ინგლისში, გერმანიაში და საფრანგეთში უკვე გაიმარჯვა დემოკრატიამ, და რუსეთი ადრე თუ გვიან იძულებული იქნება გაყვეს ამ მაგალითს“—, სწერენ ისინი.

მათ პანაცეათ მიაჩნიათ მაკდონალდის, შტრეზემანის და ერრიო—პუანკარეს „დემოკრატიზმი.“

ამით ამ ვაჟბატონებმა სთქვეს ყველაფერი.

თურმე ჩვენს მშრომელ ხალხს დაულვრია სისხლი იმიტომ, რომ მაკდონალდ-შტრეზემან—ერიოზე იოცნებოს.

ჩვენ ვიცით რას ნიშნავს ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის სახელმწიფოებრივი წესწყობილება და ამ ქვეყნების მმართველების „დემოკრატობა.“

მათზე ოცნებობა, მათთვის ხოტბის შესხმა შეშვენის მხოლოთ მათ, ვინც მუდამ იცქირებოდა დასავლეთის იმპერიალიზმისკენ, მაგრამ მშრომელი ხალხი მათთან არასოდეს არ იქნება.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი საბჭოთა დემოკრატია და არა მაკდონალდები, რომლებიც სასახლეში მეფეებთან ერთად საუზმობენ, ოქროთი მოვარაყებულ მუნდირებში გამოწყობილნი.

ამიტომ იყო, რომ საფლავიდან ამოვარდნილი ყრუ ხმა ვერ გაიგონა ქართველი მუშის ყურმა.

26 მაისი ჩვეულებრივად ჩატარდა. ქართველი მუშა და მშრომელი ინტელიგენტი არ მოშორებიან თავიანთ სამუშაოს.

პირიქით ეს დღე მწარე მოგონებებს უშლის ყველას. ამ დღეს, 1918 წელს, გაწყდა ძაფი ქართველ და რუს მუშას შორის შავი წესწყობილების წინააღმდეგ ხელიხელ ჩაკიდებული მებრძოლნი რევოლიუციის პროცესში დაშორდენ ერთმანეთს. ეს იყო საშინელი ღალატი რევოლიუციას წინაშე, რაც მოაწყვეს ქართველმა მენშევიკებმა.

მაგრამ ეს გატეხილი ხიდი გამომრთელდა 1921 წელს 25 თებერვალს. ამ დღეს იწყო გაერთიანება ძველ რევოლიუციონურ ოჯახმა, რომელიც დამთავრდა სრული გამარჯვებით 1923 წლის 25 აგვისტოს.

26 მაისი კი, როგორც სამარცხვინო მოვლენა ჩვენს ისტორიაში, სამუდამოთ იქმნა დასამარებული იმათთან ერთად, რომლებიც სამუდამოთ გამოეთხოვენ მუშათა კლას!

მაგრამ მკვდრები ხანდისხან მაინც მოგვაგონებენ თავიანთ თავს.

უკანასკნელი ფურცლები,—ეს არის მკვდრების ყრუ ხმა, რომელიც გაისმა 26 მაისის საფლავიდან.

მაგრამ ეს ხმა არ ეკარება მუშათა კლასის ყურებს. ქართველმა მშრომელმა ხალხმა კარგად იცის—როდის იყო საქართველო დამოუკიდებელი: მაშინ, როცა აქ დასავლეთ ქვეყნების იმპერიალისტები ბატონობდენ, მაშინ, როცა აქ გვაზავა—ვეშაპელები იჯდენ ჟორდანიას გვერდით მთავრობაში, თუ დღეს, როცა მშრომელი ხალხი თვით განაგებს თავის საქმეს დასავლეთ-იმპერიალისტების და ნაციონალ - დემოკრატებისაგან დამოუკიდებლათ.

ნაცნობი.

მენშევიზმის ლიკვიდაცია ს. ს. რ. კავშირში.

ყველ მივიღეთ ცნობები, იმის შესახებ რომ, რუსეთში უკვე დაიწყო ყრილობები მენშევიკური პარტიის სალიკვიდაციოთ სხვა და სხვა ოლქებში.

ბევრ ადგილას სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ასეთი ყრილობების ჩატარებისთვის.

ამ რიგათ საქართველოში დაწყებული საქმე, მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციისა ს. ს. რ. კავშირში მთავრდება.

მუშები და გლეხები, რომელნიც მისდევდენ მენშევიკური პარტიის დროშას, თავს იჭრიან იმისათვის, რომ საბოლოოთ მიატოვონ გახუმებული დროშა, დადგენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და აშკარათ განუცხადონ მთელი ქვეყნის მუშათა კლასს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, მუშების და გლეხების ხელისუფლებამ, მოწინააღმდეგეც კი და დაარწმუნა თავის ცხოველ მყოფელობაში და ხერხემლიანობაში.

ისევე როგორც საქართველოს მშრომელმა ხალხმა, გასული წლის 25 აგვისტოს განუცხადა ნდობა საბჭოთა მთავრობას, დღეს ს. ს. რ კავშირის სხვა და სხვა ნაწილების მშრომელებიც უცხადებენ საბჭოთა მთავრობას ნდობას და მეგობრობას.

მაგრამ ჩვენს, საქართველოს და ს. ს. რ. კავშირში ეხლახან მიმდინარე ყრილობებს შორის ერთი განსხვავება არის.

განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ აქ საქართველოში მასიურათ გადასვლა მენშევიკური პარტიის რიგებიდგან, საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე პირდაპირ თითქმის ბრძოლიდგან მოხდა.

ათასეული მუშა და გლეხი, აქტიურათ მოწინაღმდეგე პარტიის რიგებიდგან გადავიდა საბჭოების მეგობართა ბანაკში და გზა და გზა წინანდელი პარტიაც დაშალა.

ხოლო რუსეთში პირიქით. ჯერ დაიშალა ფაქტიურად პარტია, გაქრა, ბრძოლის ველიდგან გაიპარა, როგორც მომქმედი ძალა, შემდეგ ხდება ფორმალური დადასტურება მომხდარი ფაქტისა. ამის დასამტკიცებლათ საკმაოა მოვიგონოთ, რომ რუსეთის მენშევიკური ცეკას მრავალი ცნობილი წევრები გადავიდენ კომუნისტურ პარტიაში და დღეს მის რიგებში იბრძვიან.

ეს განსხვავება უსათუოდ არის ჩვენსა და რუსეთის სინამდვილის შორის.

ფაქტიურად რუსეთში ყრილობები დღეს ადასტურებენ მხოლოდ მომხდარ ფაქტს. ყრილობა მხოლოდ აღნიშნავს მენშევიზმის გაკოტრებას, მისი რიგების დაშლას იმისათვის, რომ ევროპის მუშათა კლასმა დაინახოს, გაიგოს, რომ-

კონტრასტები

მათთან

ნიღაბი. ნიღაბი. ყოველგან ნიღაბი:
ნიღაბი აზრებში, ნიღაბი პირებზე,
ნიღაბი ტაძარში, ნიღაბი ღმერთებზე,
ნიღაბი დედებზე, ნიღაბი შვილებზე.

—

სიცილში, ტირილში, ლხინსა და ვარამში
ქორწილში, სიკვდილში, სიცრუის ფერები.
ორგული გულები, ორპოფი სულები,
უცალო ცლები—ცხოვრების გერები.

—

უდედო შვილები, უშვილო დედები,
უცოლო ქმრები და უქმარო ცოლები,
სიბილწის სარჩულზე ლამაზათ ქსოვილი
სიცრუის ხაზები, სიცრუის ზოლები.

—

ჩვენთან.

ჩვენ არ გვინდა მკვდარ ღმერთების მოქარგული ქადაგება,
ტიტველია ჩვენი მრწამსი ვით დიანას ქანდაკება,
ჩვენს სიცილში მიწა სუნთქავს და ქარხანა ზღაპარს ამბობს,
ჩვენი ცრემლი შრომის გულზე ტანჯვის კოცონს შლის და აქრობს.
და როდესაც განთიადზე ღამეს სული ეხუთება,
როს მზის სხივი შრომის დილას ძუძუებში ეხუტება,
ქარხნის საყვირს თან აყვება ჩვენი ყოფნა—ქვეყნის ბედი—,
ამ საყვირში კივის ჩვენი გამარჯვების თეთრი გედი...

—

დაიწვა ნიღაბი. დაინგრა ტაძარი,
გაშიშვლდენ აზრები, ჩამოხსნეს ფარდები:
ებრძვიან ერთმანეთს ძველი და ახალი—
ბოზი და ქალწული, გველი და ვარდები...

ლიდიანი.

მუშებში და გლეხებში საბჭოთა ხელისუფლებას უკვე აღარ ჰყავს მტრები.

ევროპის მუშები დაინახავენ, რომ გამოფხიზლებული მუშები და გლეხები გვერდში უდგებიან საბჭოთა მთავრობას, მუშათა კლასს და რევოლიუციონურ გლეხობას, იმისათვის, რომ დღეს და იცოს ის, რასაც დიდი ხანი არ არის მას შემდეგ შეიძლება სასტიკათ ეწინააღმდეგებოდა. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუნდაც იმ მხრივაც, რომ დაბოლოს საზღვარ გარეთ მოხეტიალე თეთრ და ყვითელ ემიგრაციას გამოეცალება ნიადაგი საესებით ფეხსქვეშ, ლაყბობისა და ინსინუაციებისათვის.

მუშათა კლასი, რა დაინახავს ს. ს. რ. კავშირში მუშების და გლეხების ერთსულოვნებას აღარ დაუგდებს ყურს საბჭოთა კავშირზე გავრცელებულ ჭორებს.

დაბოლოს ეს ხელს შეუწყობს მის გამოფხიზლებასაც და ბრძოლის ენაზე ალაპარაკებას. დღემდის საზღვარგარეთ მე-2-რე ინტერნაციონალის ლაქიები, მუშათა კლასს თვალს უხვევდენ;—აი რუსეთში ანარქია არის, იქ თვით ძმებს შორის არის საშინელი ომი, თავი შეიკავეთ გამოსვლებისგან, თორემ თქვენც ისეთივე დღე დაგადგებათ.-ო.—„ჭკუაზე“ არიგებენ ისინი მუშებს. დღეს, როდესაც მუშათა კლასი დასავლეთ ევროპაში გაიგებს, რომ რუსეთის მუშები და გლეხები სცილდებიან საბჭოების მოწინააღმდეგე პარტიას, როდესაც ის გაიგებს, რომ მშრომელი ხალხი ერთიანი ფრონტით იცავს საბჭოებს, ერთხელ კიდევ დარწმუნდება იმაში, რომ მისი ყვითელი წინამძღოლები ატყუებენ მას. ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს ს. ს. რ. კავშირში მიმდინარე მენშევიკური პარტიის სალიკვიდაციო ყრილობებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ საოლქო ყრილობებს მოჰყვება სრულიად საკავშირო ყრილობაც, რომელიც საბოლოოთ დაუსვამს ჯვარს მენშევიზმს ს. ს. რ. კავშირში.

ანიძე.

ფ. მახარაძე

ძველი სიმღერა*

(ნოე ჟორდანიას წერილის გამო)

ნოე ჟორდანიას არა სწამს მუშების გამარჯვება.

ვერაფერს ვერ გახდები, ნოე ჟორდანიას არასდროს არ სწამდა და არც ეხლა სწამს მუშათა კლასის გამარჯვება ბურჟუაზიაზე. ის იმ აზრის არის რომ, ხალხი, მშრომელი მასები, ვერას დროს ვერ გამოვლენ გამარჯვებულნი რევოლიუციაში.

მაგრამ, სწორედ ნოე ჟორდანიას შეხედულების საწინააღმდეგოთ მშრომელი ხალხი ოქტომბრის რევოლიუციაში გამარჯვებულია დღეს ბურჟუაზიაზე.

რაღა ქნას ახლა ნოე ჟორდანიამ?

მას არ სურს ანგარიში გაუწიოს ამ ფაქტს და მთელი ძალ ღონით სცდილობს სახელი გაუტეხოს ოქტომბრის რევოლიუციასაც, საბჭოთა ხელისუფლებასაც.

ნოე ჯორდანიას სურს ბურჟუაზიის შენარჩუნება.

მას უნდა, რომ ისტორია მისი სურვილების მიხედვით განვითარდეს, ვგონებ იმ პირობით რომ პროლეტარიატის დიქტატურამ არ შესცვალოს ბურჟუაზიის დიქტატურა.

მიწა-კი სულ ბრუნავს და კაცობრიობის ისტორიაც წინ მიიწევს, მაგრამ ჟორდანიას კანონებით კი არა. ლიმილს გვგრის მარტოოდენ იმის მოგონება, რომ ნოე ჟორდანია და სხვა მენშევიკები სცდილობენ, როგორღაც არ შეამჩნიონ ის დიადი გადატრიალება, რომელიც დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. მაგრამ დაბოლოს აშკარაა, რომ არ შეიძლება ისტორიის ამ ახალი გვერდის ახლოს გავლა და მისი არ დანახვა. ეს შეუძლებელია ისე, როგორც შეუძლებელია არ დანახო მზის სხივები.

*) დასასრული. იხ. № 27.

ნ. ჟორდანიას დამარცხება ეროვნულ საკითხში.

ყველაზე უფრო სასაცილო და საცოდავია ნ. ჟორდანიას დამოკიდებულება ეროვნულ საკითხისადმი. ყოველ შემთხვევაში. მას და მის თანამებრძოლთ აღარაფერი ეთქმის ამის შესახებ.

რას წარმოადგენდა საქართველო და საერთოდ ამიერ-კავკასია იმ დროს, როდესაც აქ ბატონობდენ დაშნაკცლები, მუსავატელები და განსაკუთრებით მენშევიკების პარტია, ნოე ჟორდანიას მეთაურობით? დაუსრულებელი აყალ-მაყალი, ბრძოლა, შეტაკება ეროვნულ შუღლისა და ჩტრობის ნიადაგზე.

სომხეთის, საქართველოს და ადერბეიჯანის რესპუბლიკები ყოველთვის საომრად იყვენ გამზადებული, როგორც ერთი-მეორის წინააღმდეგ, ისე თავის ქვეყანაშიც. ქართველები, როგორც გაბატონებული ერი, მტრულად იყვენ განწყობილი ყველა ეროვნულ უმცირესობისადმი, რომლებიც ცხოვრობდენ საქართველოში.

მენშევიკები სულს უხუთავდენ აბხაზებს, ოსებს, სომხებს, აჭარლებს და სხვ. ისინი არ აძლევდენ ამ ხალხებს არამც თუ კულტურულ ავტონომიის უფლებას, არამედ იმის უფლებასაც, რომ მათ მიწერ-მოწერა და მეცადინეობა სკოლებში ეწარმოებიათ სამშობლო ენაზე. ამ ნიადაგზე მენშევიკებმა სამჯერ გაანადგურეს ცეცხლითა და მახვილით პატარა სამხრეთ-ოსეთი. ასეთივე გამწვავებული ურთიერთობა იყო ქართველ მენშევიკების ერთის მხრით და აბხაზების, სომხების, თურქების და აჭარელთა შორის, მეორეს მხრით. საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც პირველ ხანებში ჩვენ ხშირად ვხდებოდით ეროვნულ უმცირესობათა შორის ისეთ მოვლენას, რომ არ შეიძლებოდა საქართველოს სახელი გეხსენებია, რომ არ გამოგეწვია სიძულვილი. აი როგორ გაამწვავეს მენშევიკებმა ურთიერთობა მათთან.

ეროვნული ზავი მოგვიტანა საბჭოთა ხელისუფლებამ.

ეს გამწვავებული ურთიერთობა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამოწურულია შესაფერისი ეროვნული პოლიტიკის გატარებით. სამხრეთ ოსეთიდგან შექმნილია ავტონომიური ოლქი, ტერიტორიის გაფართოებით. აფხაზეთი და აჭარისტანი პირველ დღეებიდანვე გამოცხადდა ავტონომიურრეს პუბლიკებათ. ყველა დანარჩენ ეროვნულ უმცირესობას, მინიჭებული აქვს სრული შესაძლებლობა საკუთარ მშობლიურ ენაზე განვითარების, მიწერ მოწერის, სამართლის და სხვა, მათთვის გასაგებ ენაზე.

ყველაფერი ამის შედეგათ, მექანიკური, ზევიდგან ნაკარნახევი იძულებითი გაერთიანების ნაცვლათ მოხდა მათი ნამდვილი ძმური გაერთიანება. მე-ვერ წარმომიდგენია, რა იქნებოდა ეხლა საქართველოში აქ, რომ მენშევიკური მთავრობა დღემდის დარჩენილიყო.

რა უნდა ჟორდანიას.

ამაზე ნოე ჟორდანია არას ამბობს, მაგრამ სამაგიეროთ ბევრს ლაპარაკობს ეროვნულ დამოუკიდებლობის შესახებ. მაგრამ ძალიან ბუნდოვანათ კი.*)

ის ამბობს ეროვნული მომენტი დღეს ჩვენთვის უალრესი მომენტია, ვინაიდგან ის უკვე თან ატარებს ყველა დანარჩენ მომენტებს **დემოკრატიულს, სოციალისტურს და სხვა. დამოუკიდებელი საქართველო ნიშნავს დემოკრატიის სრულ ბატონობას.** (კურსივი ჩემია ფ. მ.).

რა არის ეს?

ყოვილ შემთხვევაში აქ არ არის არც ერთი წვეთი მარქსიზმისა.

მენშევიკები თითქოს შეირყენ საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

მაგრამ ეს მხოლოდ გეჩვენებათ ასედ სინამდვილეში კი ისინი იმავე საქართველოს ჭყიდდენ და ეხლაც მზათ არიან მიჰყიდონ ევროპის იმპერიალისტებს, ოღონდ კი მოსპობს აქ საბჭოთა სისტემა და აღადგინონ ბურჟუაზიული წესები.

ნოე ჟორდანიას სურს დაარწმუნოს ბ. მენშევიკები, რომ ბოლშევიკების დროს საქართველომ დაჰკარგა დამოუკიდებლობა, რომელიც მას მენშევიკებმა მიანიჭა. ის სხვათა შორის შემდეგ კითხვას იძლევა.

— „და ან არ როგორ შეიძლება ერის მდგომარეობა იქ იყოს კარგი სადაც ამ ერს არაფერს ეკითხებიან, სადაც მთელი ხალხი ბორკილებშია და **მას უცხო ხიშტები უდარაჯებს.**"

მე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას ჩემ მიერ ხაზ გასმულ სიტყვებს: აქ არის ნაწილობრივ სიმართლე. საქართველოს წითელ ჯარის გვერდით საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება აგრეთვე ს. ს. რ. კავშირის ჯარის ნაწილები.

*) სამწუხაროთ მე არ მქონდა საშვალება გავსცნობოდი მის ბროშიურას „ბრძოლის საკითხები.

წითელი არმია მუშათა და გლეხთა ინტერესების სადარაჯოზეა.

მაგრამ რათ არიან ისინი აქ?

აშკარაა რისთვის. მათი წყალობით ისეთ პატარა ქვეყანაში როგორც ჩვენი, რომელიც უშუალო შეხებაშია ჩვენდამი მტრულად განწყობილ სამყაროსთან, საბჭოთა ხელისუფლება თავს გრძნობს კიდევ უფრო მაგრათ, კიდევ უფრო უზრუნველ ყოფილად.

მაგრამ განა ეს ჯარის ნაწილები აწუხებს ან ავიწროებს ვისმეს?

ყველამ იცის თუ რა დიდი მუშაობა სწარმოებს ჩვენს წითელ ჯარში კომუნიზმის მიმართულებით და რა დიდ კულტურულ ძალას წარმოადგენს ეს ჯარი. წითელი არმია, ქართული იქნება ის თუ სხვა რომელიმე სულ ერთია, ბურჟუაზიული სახელმწიფოების ჯარებისაგან იმით განსხვავდება, რომ ის იცავს და დაიცავს შემდეგშიც მუშებს და გლეხებს ეკსპლოტაციისაგან, თავადების და კაპიტალისტებისაგან.

რას აკეთებდენ აქ იმპერიალისტების ჯარები?

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში მენშევიკების დროს, ე. ი. მაშინ როდესაც ნოე ჟორდანიას აზრით საქართველო დამოუკიდებული იყო, იმყოფებოდენ უცხოელი ჯარები, **რომელნიც** მშრომელთა ინტერესებს კი არ იცავდენ პირიქით ეხმარებოდნენ მის მტრებს. ეს იყო დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების ჯარები.

როგორ მიესალმა ნოე ჟორდანია გერმანიის იმპერატორის ჯარებს.

ეხლა კი მოუსმინოთ, რას ამბობდა თვით ნოე ჟორდანია ამ ჯარების შესახებ პარლამენტის საზეიმო სხდომაზე:

„მართალია ჩვენს საზღვრებში შემოვიდენ შეარაღებული ძალები,—ამბობდა ის:—მაგრამ ისინი მოვიდენ ჩვენთან როგორც მეგობრები და არა მტრები. ჩვენ გვწამს და გვჯერა, რომ თუ კიდევ მოვლენ აქ ევროპის შეარაღებული ძალები, ეს არ იქნება მტრობის ნიშანი." *)

ეს ითქვა 1918 წლის დეკემბერში გერმანიის იმპერატორის ჯარების შესახებ.

აგვისტოში და სექტემბერში კი (1919 წელში) ნოე ჟორდანია თითქმის მუხლ მოდრეკით ეევედრებოდა ინგლისის მთავრობას, საქართველოში დაეტოვებია შავკანიანი ჯარები ბრიტანიის იმპერიალისტებისა.

ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲓᲘᲗ

(ომის გენია)

ო. როდენის ჭანდაკება.

საუკუნეებს... ბარიკადებს და ბრძოლის ველებს
წაურთმევია არაქათი: დაღლილა რაში.
ქვეწარმავალი დაეძებს ხვრელებს
ძვრება სილაში.

დადგა მერანი და მწვერვალზე იგი ვერ ადის.
ნალი ფოლადის ქვაფენილზე ცემით დასცვითა
და აღვირები გამძლე მარადის
ბრაზით დასწყვიტა...

მისი ფაფარი ირის: ტირიფი
და მგლოვიარე, ვით ქალი ქვრივი.
ჩამოჰხტა გმირი... მას არ აშინებს ბორცვი ირიბი—
— მუხლი აქვს მკვრივი...

ავიდა ზევით, ვით პანთეონის მაღალ გუმბათზე,
მაგრამ შორს არის ჰორიზონტი—არ მოსჩანს იგი,
რომ მის ძახილის მედგარ ნაბათზე
გამოაღვიძოს მებრძოლთა რიგი...

იგი დაეყრდნო თავის მოძმის რკინის მუხლ-კუნთებს;
ამაღლდა ზევით და ცეცხლის ალს სამყაროს უნთებს.
გმირის ძახილზე იღვიძებენ ლეგიონები:
შურის-ძიების სტიქიონები...

აღსდგა არმია და გაშვერილი ხელი: სიგნალი
არის სარდალი.
შემოკრბა ერთად მილიონები
და ბრძოლის მარშით ომში მიდიან ლეგიონები.

გაროლდი.

განა მენშევიკურ საქართველოში იმპერიალისტური ჯარების ყოფნა დამოუკიდებლობას და სუვერენობას ნიშნავდა, ხოლო ახლა საბჭოთა საქართველოში ს. ს. რ. კავშირის ჯარების ყოფნა ნიშნავს მის დამოუკიდებლობის მოსპობას და საქართველოს მუშების და გლეხების სხვა სახელმწიფოს მიერ დამონებას?

ყველა მიხვდება რომ ეს სწორია, მხოლოთ შექცევით, მაგრამ რას გააწყობ, როდესაც არის ხალხი რომელთათვის ორჯერ ორი, ოთხის მაგივრათ, ხუთია.

დასავლეთ ევროპის ბურჯუაზიის დამცველი ფანატიკოსი.

ჟორდანიამ ოდესღაც შეითვისა ის აზრი, რომ ბოლშევიზმი—მავნე მოვლენაა და ეხლა, როდესაც ეს ბოლშევიზმი მოედო მსოფლიოს, ააფორიაქა მთელი დაჩაგრული კაცობრიობა, ის, ჯიუტად განაგრძობს იმავე აზრის მტკიცებას:

„ბოლშევიზმი—ეს წმინდა რუსული, ველიკორუსული მოვლენაა და ამიტომ მან ვერ გაიდგა ფესვი, ვერც ერთ არა რუსულ ქვეყანაში“.

ასე სწერს ნ. ჟორდანია 1924 წელს. მან ერთხელ სთქვა, რომ აღმოსავლეთის ფანატიკოსებს (ე. ი. ბოლშევიკებს) მას ურჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები. ეს აშკარა მისი სიტყვებია. ნ. ჟორდანია, მართლაც დასავლეთის დამცველია, მაგრამ როგორი დასავლეთის? იმპერიალისტურ, მძარცველ და დამჩაგვრელ ბურჟუაზიულ დასავლეთის.

ის ფიქრობს, რომ რუსეთის რევოლიუციას არაფერი აქვს საერთო, არც დასავლეთის კულტურასთან, არც დასავლეთის მუშათა მოძრაობასთან, არც მარქსიზმთან.

ვერაფერი უსწავლია, არც რა დაუვიწყებია.

„აშკარაა რომ ამ რევოლიუციას (ლაპარაკია ოქტომბრის რევოლუციაზე) არაფერი არ გვაქვს საერთო დასავლეთ ევროპის რევოლიუციასთან, ის ისევე თავისებურია, ისეთსავე სპეციფიურ **რუსულ მუჟიკურ** მოვლენას წარმოადგენს, როგორც თვით რუსული კომუნიზმია. ის ატარებს თვისებას **ოსმალეთის, სპარსეთის ან ჩინეთის აზიურ რევოლიუციისას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ბოლშევიკებს ეს აზიური რევოლიუციის თვისება, უფრო აშკარათ და რელიეფიურად ააქვთ გამოხატული ვიდრე აღმოსავლეთის ხალხებს** *)

ამ დახასიათების შესახებ შე ძლება ითქვას, რომ მთელ ამ მდიდარს, მოვლენებით სავსე პერიოდს, დიდი ოქტომბრის რევოლიუციისა, ნოე ჟორდანიასათვის შეუჭნევლათ ჩაუვლია, ფუჭათ; რომ მას ამ დროის განმავლობაში არ უსწავლია რამე და არც არაფერი დავიწყებია.—როდესაც ამონაწერ სიტყვებს კითხულობ, ფიქრობ რომ ავტორი მთელ ამ ხნის განმავლობაში, როდესაც მთელი კაცობრიობა იყო მოწამე სწორედ რუსეთის რევოლიუციით გამოწვეულ უდრმესი გარდატეხის, სცხოვრობდა სადღაც სხვა პლანეტაზე და არა მიწაზე. გამოდის **რომ ოქტომბრის** რევოლიუცია არის რაღაც ჩინური „ბოკსის“ (бокс) მზგავსი მოვლენა.

რა თქმა უნდა შეიძლება მისი გაკრიტიკებაც, შეიძლება მისი შეფასება სხვა და სხვა თვალსაზრისით, მაგრამ ამ მსოფლიო მოვლენის ისე გაგება და შეფასება, როგორც ნოე ჟორდანია სჩადის, აშკარა უაზრობაა. მე მესმის, ნოე ჟორდანიას მიზანია სახელი გაუტეხოს ბოლშევიზმს, საბჭოთა წყობილებას, კომინტერნს. მაგრამ ჭკვიანი კაცი ამასაც სხვაგვარათ მოიმოქმედებდა. სასაცილოა სხვა რომ არა იყოს რა, მუდამ მხოლოდ ერთი და იგივეს მეორება.

ნოე ჟორდანია ცუდი წინასწარმეტყველია.

ნოე ჟორდანია გადატრიალების მეორე დღესვე ამბობდა თბილისში, რომ საბჭოთა ხელისუფლება გასტანს მხოლოდ რამოდენიმე დღეს, დიდი ორი კვირაო. მაგრამ მგონი ეს ორი კვირა კარგა ხანია გავიდა; ჩვენ უკვე მე 7 წელს მიუახლოვდით. საბჭოთა წყობილება კი კიდევ და კიდევ მტკიცდება და მაგარდება, როგორც შიგნით ისე, გარეთაც საერთაშორისო მასშტაბით. ნოე ჟორდანია კი კვლავ განაგრძობს თავის ძველ

---

*) Большевизм стр. 82.

სიმღერას. ადარებს რა ბოლშევიზმს მეფის ტირანიას ის ამბობს;

„ჩვენ ვიცოდით მხოლოდ, რომ ის დაიქცეოდა და ვიცით დღესაც ის, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება უეჭველად დაქცევა. როდის და რა პირობებში მოხდება ეს, რასაკვირველია, დღეს არ ვიცით, ამიტომ სრულიად არ ვაძლევ მე მნიშვნელობას დროს; შეიძლება განვლოს წლებმა, შეიძლება თვეებმა — ეს მეორე ხარისხოვანი საკითხია.“ —

ერთი სიტყვით, ნოე ჟორდანია, ელის და ვერ დალოდებია იმ დროს, როცა დაეცემა საბჭოთა წყობილება, კვლავ დაუბრუნდება სახელმწიფოს საჭეს ბურჟუაზია და აზღვევინებს მუშათა კლასს სამაგიეროს, იმ გაწამებისა და ტანჯვისათვის რომელიც მან (ბურჟუაზიამ) გამოსცადა პროლეტარიატის დიქტატურის დროს.

მუშებმა დაამსხვრია ნ. ჟორდანიას იმედები ბურჟუაზიის დაბრუნების შესახებ.

მაგრამ დეე იცოდენ ბ. ჟორდანიამ და სხვებმა, რომ მუშათა კლასს, სრულებითაც არ სურს ბურჟუაზიის დაბრუნება. კერძოთ არც საქართველოსთვის, არც ქართველი ხალხისათვის, საბჭოთა წყობილების დამარცხება არ ნიშნავს არც „საქართველოს“ „სუვერნიტეტის“, არც „დემოკრატიის“ გაბატონებას და არც თავისუფლების დამყარებას და ბრძოლის საშვალებების გაფართოებას.“

ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებული სინდისით ვსთქვათ: ხალხს არ უნდა საბჭოთა წყობილების დამარცხება და დაბრუნება მემამულეთა და კაპიტალისტების ბატონობის ქვეშ. საქართველოს მშრომელ ხალხს ეს კარგათ ესმის.

მენშევიკური პარტიის საუკეთესო ნაწილმა ეს კარგათ გაიგო და გაითვალისწინა. ამის გაგება არ შეუძლია მხოლოთ ზოგიერთ ფანატიკოსებს, ან და უკეთ ბურჟუაზიის ლაქიებს. ასეთებზე იტყვიან: ფინია ისე ჰყვებს, როგორც ბატონი ბრძანებს-ო.

ნოე ჟორდანიას წერილმა დაგვანახა, რომ ყოფილი მენშევიკები, რომლებმაც სრულიად შესწყვიტეს ყოველივე კავშირი მენშევიკებთან, ტყუილად ამყარებდენ იმედებს იმაზე, რომ მათი ყოჩილი ბელადი ნ. ჟორდანია წაბაძავს მათ მაგალითს, გადაეჩრით გაშორდება მენშევიზმს და დადგება პროლეტარულ რევოლიუციის და კომუნიზმის მხარეზე. რაც, შედარებით, ადვილათ მოახერხეს მუშებმა და გლეხებმა, ის გაცილებით უფრო ძნელია და ხშირად შეუძლებელიცაა ინტელიგენტურ მეთაურებისათვის.

ეს ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ამის გამო მუშათა კლასი არ დაიღუპება განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ის სწორ გზას დაადგა.

მკვდრებს კი საშუალება მივცეთ დამარხონ თავისი მიცვალებულები.

„მეფის“ სიზმრები

ტკბილი სიზმრები ხანდახან ტკბილ სინამდვილეს სჯობს.

და აი საზღვარ-გარეთ გახიზნული თეთრი ემიგრაციი ისვენებს ტკბილი სიზმრებით.

ყოფილი დიდი მთავარი კირილე ვლადიმერისძე სცემს ასეთ მანიფესტს:

— „მეფის ტახტის უავგუსტეს მფარველი ხელმწიფე და დიდ მთავარ კირილე ვლადიმერისძისაგან ყველა ერთგულ რუს ქვეშევრდომს, საზღვარ-გარეთ მყოფს.

რუსეთი იღუპება. გულის ფანცქალით ელოდება ის ხსნას. განვლილ წამების შემდეგ ისტორიის საღ აზროვნებას მიჰყავს რუსის ხალხი იმ დასკვნამდე, რომ მხოლოთ კანონიერ მეფეს შეუძლია დაუბრუნოს რუსეთს დიდება, და კეთილი ცხოვრება მის შვილებს“.

რუსეთი იღუპება... მაგრამ არა მუშათა კლასისთვის, არა მშრომელი გლეხკაცობისათვის... არამედ დიდი მთავრებისათვის და თეთრი ემიგრაციისთვის. მათთვის დიდი ხანია, რაც ჩაკეტილია რუსეთის კარები და ისინი ვერ იხილავენ რუსეთს.

რუსეთის მშრომელი ხალხიც ბედნიერია იმითი, რომ ის სამუდამოდ განთავისუფლებულია მეფის ჯაჭვებისგან.

— „ღრმა მწუხარებით მიხდება დავრწმუნდე, რომ არეულობამ აუბნია გონება და აუფორიაქა სინდისი ბევრს. ზოგს დაავიწყდა ფიცი, ზოგს აერია ფიცის გაგება და დაკარგეს მოვალეობის შეგნება სამშობლოსა და ჩვენს წინაშე, რომელიც ვარ პირველი მოსამსახურე სამშობლოსი და კანონიერი მემკვიდრე სრულიად რუსეთის იმპერატორების“ — სწერს კირილე ვლადიმერისძე თავის მანიფესტში.

საბრალო დიდი მთავარი!.. აპუხტინის „სულელივით“ ზის და ფიქრობს, რომ ის მთელი ხალხის მიერ არის მეფეთ არჩეული. მაგრამ მას არ ემორჩილებიან უცილოთ ისინი, ვისაც დაბნევია გზაკვალი.

მას არ ემორჩილებიან თავისიანებიც კი.

— „უშედეგოთ დარჩა ჩემი არაერთხელ მიმართვა ყოფილ უზენაეს მთავარ სარდალთან დიდი მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზისძესთან, რომლის დახმარებასაც მე ვთვლიდი მეტად ძვირფასად ჩემ მიერ დაწყებულ რუსეთის ხსნის საქმისათვის“, — წუწუნებს კირილე ვლადიმერისძე, „ყველას მიერ დატოვებული მეფე“.

მაგრამ უნიადაგო კირილე არ კარგავს იხტიბარს. ის იმუქრება:

— „შერცხვეთ და ეკუაზე მოვიდენ ჯიუტები, გზა გაუნათლდეს დაბნეულებს და სამშობლო დაივიწყებს მათ ცოდვებს და შეცდომებს. მაგრამ არ არიან ღირსნი ადგილის მომავალ იმპერატორების რუსეთში ისინი, ვინც ეხლაც არ გაიგონებს ჩემს მოწოდებას და არ დადგება კანონიერ გზაზე“.

ამ შემთხვევაში დიდ მთავარ კირილე ვლადიმერისძის კილო ძალიან წააგავს ნოე ჟორდანიას კილოს.

ისიც ურჩევს თავის ყოფილ მრევლს:

— „მოდით ეკუაზე, ჯერ კიდევ დრო გაქვთ გასწორებისაო. და თუ ამას არ იქმთ, მერმეთ არ გვითხრათ — არ ვიცოდით, რას ვშვრებოდითო“.

ალბათ, ყველა ემიგრანტები ერთნაირად აზროვნებენ საზღვარ-გარეთ.

მაგრამ „ნოვოე ვრემიამ“ ვეღარ მოითმინა ეს მუქარა „რუსეთის პატრიოტისადმი“ და ყალყზე დადგა:

— „იმას (პატრიოტს), ეუბნებიან: თუ შენ მე არ გამომყევი — წასასვლელი კი არსად არაა და არც ვიცით როდის იქნება ეს და იქნება კი — შენ ვერ იხილავ შენს სამშობლოს, შენს ოჯახს, შენს ბავშვს, შენს სახლს, შენს კუთხეს, მოკვდი გავარდნილი, როგორც ძაღლი ჩალაზე“.

„ნოვოე ვრემია“ სერიოზულად ეკამათება კირილე ვლადიმერისძეს.

მაგრამ ამ შავ გაზეთს დაავიწყდა, რომ კირილე დღეს აპუხტინის გმირია, რომელსაც თავი მეფეთ აქვს წარმოდგენილი და ფიქრობს რომ მთელი სახელმწიფო მასზე ფიქრობს, მის სიტყვას ელოდება.

ნეტავი რა ეშველება ამდენ ავათმყოფებს?!

ნ.

კლასიური ხელოვნებისთვისა

„არ არის არც ბურჟუაზიული, არც პროლეტარული ხელოვნება, — არის მხოლოთ ხელოვნება“ ასე სთქვა ბალმონტმა მოსკოვში ხუთი წლის წინათ ერთ-ერთ ლიტერატურულ პაექრობაზე.

ამ საკითხის გარშემო დღესაც ჰიდილია, ბრძოლა. მაშინ კი, ამ ხუთი ექვსი წლის წ ნათ, ეს საკითხი დიდს შეხლა-შემოხლას იწვევდა. გასაგებიც იყო. მაშინ ის-ის იყო ჩამოყალიბების ხანაში იყო პროლეტარიატის დიქტატურა. დღეს კი ეს საკითხი განვითარების მეორე ხანაშია. კლასიური, პროლეტარული ხელოვნება ყალიბდება როგორც ფორმით, ისე შინაარსით. რუსეთში ეს პროცესი ნაკლების მტკივნეულობით მიდის. გასაგებიცაა. დონის მაღაროებში, ურალის ქარხნებში სარმოვო, ტულა, ივანოვო-ვოზნესენსკი, მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი შეჩვეულნი არიან ქარხნების საყვირს ათეულ წელთა განმავლობაში. იქ სასაცილოცაა დღეს მტკიცება იმისა, ხელოვნება-კლასიურია თუ „წმინდა“, არა-კლასიური. გლებ უსპენსკის გოდება, რომ ქარხნის საყვირი ანგრევს სოფელს, კლავს მისს იდილიას, ისტორიას ჩაბარდა. დღეს იქ არც ტკივილსა და არც სევდას სოფლის იდილიის, სოფლის პოეზიის სიკვდილისა გამო არა აქვს ადგილი. დღეს იქ ვერჰარნისებური სულისკვეთებაა გამეჯებული, ვერჰანისებური, რომელსაც ქარხნის საყვირში ნგრევის ხმების ნაცვლათ ახალი კულტურის, ახალი ქვეყნის ფეხის ხმა ესმოდა და ძლიერი მაჯისცემა. მართალია, ძველიც სცოცხლობს მაგრამ — ახალმა ხელოვნებამ მტკიცეთ დაიპყრო ხელოვნების პოზიციებზე მთავარი ხაზები. მართალია, იქ ბუნინი 1918 წელს ეუბნებოდა ინგლისსაფრანგეთის საინტერვენციო ჯარებს რუსეთის პროლეტარიატზე თავდასხმისთვის წასაქეზებლათ, გასამხვნევებლათ:

Сорви кровавый стяг!
Смири раба
И свергни демагога *)

მაგრამ ბურჟუაზიულმა сорви — ლექსმა ვერ უშველა ბურჟუაზიულს ზარბაზნებს. „მონამ,“ რომელიც ასე შეიძულა ბუნინმა, გამოიტანა წითელი დროშა სისხლიან სამოქალაქო ომიდან და მოიტანა დღემდე. წაიღებს შემდეგაც. დღეს რუსეთში ხელოვნების ფრონტზე ორი იდეოლოგია იბრძვის, კლასიური იდეოლოგია. ამ ბრძოლას აქვს, ასე ვსთქვათ, **შიდა რუსეთული ხასიათი.**

სულ სხვაა საქართველოში. ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას შემდეგ მთელი ჩვენი ლიტერატურა ნატეხია ან რუსულისა ან ევროპიული ლიტერატურის. გასაგებიცაა. ნაციონალური, ძლიერი ბურჟუაზია არა გვყავს და ლიტერატურაც, ამ კლასის სულის-კვეთების გამომხატველი, არა გვაქს. ჩვენში ნინოშვილმა დასვა ლიტერატურაში საკითხი კლასიური ხელოვნების შესახებ. გიორგი წერეთელმა ამ მხრივ მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადადგა, „ქუჩის ყურე“ დაგვანახა, რომ იქიდან კლასიური ხელოვნების ფართე პერსპექტივები გაშლილიყო. დრონი გავიდნენ. 1905 წლის რევოლიუციამ მოგვცა ბრწყინვალე დასი შრომის მგოსნებისა, მაგრამ მათი შემოქმედების მაჯისცემა ჩქარა შესწყდა. ამის მიზეზი, სხვათაშორის, ბურჟუაზიულ პოეზის სისუსტე იყო. როდესაც მტერი სუსტი გყავს, უბადრუკი, არც ღირს და არც საინტერესოა მასთან ბრძოლა. ფსიქოლოგიური კანონია ეს და მას თავისი გავლენა აქვს ხელოვნებაზე.

1917 წლის რევოლიუციამ არ მოგვცა არც ერთი ტალანტი. პირიქით, ამ რევოლიუციამ უცნაური გავლენა იქონია ჩვენს კლასიურ ხელოვნებაზე, შრომის მგოსნებზე. ამის სათავე უნდა ვეძიოთ დიდი ისტორიული აქტის, საქართველოს დამოუკიდებლობის დიდი შეცდომით გადაფასებაში. ჩვენ გვგონია ვისაც სურს კლასიურ ხელოვნებაზე გარკვეული ხაზის აღება (და არა ლაყბობა) არ შეუძლია ამას გვერდი აუხვიოს. ხელოვნება, პოეზია ციდგან კი არ ვარდება, მათ ეს ცხოვრება ქმნის, ჩვენი ყოველ დღიური ყოფაცხოვრება. საქართველოს დამოუკიდებლობა შედეგი იყო არა მარტო ქართველი ერის ბრძოლისა, არამეთ და უმთავრესათ ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მოქმედი პროლეტარიატის ბრძოლისა. რუსეთის იმპერიის დაშლა ეროვნულ ხაზზე მოხდა, ოქტომბრის შემდეგ გაერთიანება პროლეტარული ხაზით მიდიოდა. სანამ რუსეთის პროლეტარიატი ვრანგელიადას ებრძოდა, ჩვენში განმტკიცდა პატარა მესიანიზმი დიდ რევოლიუციას დაშორებული. ჩვენი ქვეყანა უაღრესათ წვრილ-ბურჟუაზიული ქვეყანაა და ამ წვრილ-ბურჟუაზიულმა სტიქიონმა ჩაითრია თავის მორევში შრომის მგოსნები. შრომის პოეზიამ დაჰკარგა თავისი სული და აყვა იმათ ფეხის ხმას, ვისაც გუშინ სწყეულიდა. მან დაჰკარგა კლასიური პროლეტარული სახე და შეითვისა კლასიური ბურჟუაზიული სახე. ბრძოლის მახვილი მან თავისვე-კლასს შეუბრუნა და გადაიქცა **გარე-ქართული, ნაციონალური ბრძოლის საკითხათ. დღეს ჩვენი პოეზია, ჩვენი ლიტერატურა არ არის არც პოეზია, არც ლიტერ ტურა. დღეს მთელი ჩვენი ხელოვნება გადაიქცა პოლიტიკათ. ჩვენი პოეზია დღეს გალექსილი პოლიტიკაა.**

* * *

გათენება სხვანაირი,
ო, რა მიხარია!
სადღაც ღამე მიდის ნელა —
ვიღაც მწუხარეა.
გათენება სხვანაირი
ო, რა მიხარია!
ალბად სული იქ იქნება,
სხეული კი ჯვარზე.
მე სიკვდილი გამოვცადე
ორას ოცდარვაჯერ.
ალბად სული იქ იქნება
სხეული კი ჯვარზე.
მუდამ მწამდა მომავალი.
არ ვიცოდი შიში.
ბრძოლა იყო ჩემი დედა —
მე ბრძოლაში ვიშვი.
მუდამ მწამდა მომავალი
არ ვიცოდი შიში.
დიდი ტაძრის შენებაში
არ დავზოგე ლონე.
შიგ დავმარხე ყოველივე
როგორც ანტიგონე.
დიდი ტაძრის შენებაში
არ დავზოგე ლონე.
მაღალ მწვერვალს მოველოდი
აგონიის კართან!
სალამი შენ სიცოცხლეო!
შენ ხარ დილის ალთქმა.
მაღალ მწვერვალს მოველოდი
აგონიის კართან.
ღრუბელის ქვეშ დაღამება
ო, რა მწუხარეა!
სადღაც ღამე მიდის ნელა —
ვიღაც იქ მკვდარია.
ღრუბელის ქვეშ დაღამება
ო, რა მწუხარეა.
ფრთხილად! თავზე გადიარა
საოცარმა ლანდმა!
არის ყოფნა სიყვარულის.
ფრთხილად! მომკლა დარდმა.
ფრთხილად! თავზე გადიარა
საოცარმა ლანდმა.

პაგნელი ბზიკი.

*) ჩამოხიე წითელი დროშა!
დაცხრე მონა
და ჩამოგდე დემაგოგი!

რ. ქ.

ამიტომაა, რომ ჩვენი პოეზია და ბელეტრისტიკა დღეს სევდით ბოლმით, შხამით, ცრემლით და უიმედობით არის სავსე. და ეს მაშინ, როცა საშინლათ დაჭიმულია ნერვები ორი ქვეყნის ჭიდილში. ეს ტიტანიური ბრძოლა თითქოს ჩვენს ქვეყანაში არა ხდებოდეს. თითქოს ჩვენი პოეტები და მწერლები გასტროლიორები იყვენ, სცენაზე თამაშობდენ. რამდენი კაცია იმდენი მიმართულებაა იმდენი სკოლა. მე პირადათ ჩვენს პოეზიაში ვხედავ და ვგრძნობ მხოლოთ და მხოლოთ რუსთაველის პროსპექტს, არა ვხედავ ქართველ მუშასა და გლეხს, ქართველ მშრომელის მარჯვენას. თუ ოდესმე ვინმეს სადმე შეძლო ეთქვა: არ არის კლასიური ხელოვნებაო, ერთი შეხედვით მას შეუძლია ეს სთქვას ჩვენს თანამედროვე ხელოვნებაზე. ისე უფერულია, უგულო და უსულო დღეს ჩვენი პოეზია.

არც პროლეტარული ხელოვნებაა უკეთესს მდგომარეობაში. კიდევ უარესია აქ მდგომარეობა. იქ, იმათ, ხელოვანი მგოსნები მაინც ყავთ. აქ, ჩვენ, მოხელე მგოსნები გვყავს. იქ ლექსია,—აქ რითმა, იქ რიტმია,—აქ ტეხნიკა, იქ სულია,—აქ მოფიქრება, ხელოვნურობა. ჩვენი საუკეთესო შრომის მგოსნები დღეს სდუმს პროლეტარიატისთვის და ასეთს პირობებში მეტათ ძნელია ქართულ პროლეტარულ ხელოვნებაზე პოეზიაზე ლაპარაკი. მაგრამ განვითარების ტენდენციას მაინც ადგმული აქვს ფეხი ავათ თუ კარგათ, სუსტათ თუ მძლავრათ მაინც ყალიბდება ახალი ხელოვნება როგორც ფორმით ისე შინაარსსით. დარდი ნუ გვაქვს, რომ ეს ხელოვნება ბავშვივით ჭყივის აკვანში. რევოლიუცია არწევს ამ აკვანს და ეს ჭყივილი ჩქარა მქუხარე ხმათ გადაიქცევა. ამისათვის საჭიროა არა მარტო განცთა, რაც აუცილებელი პირობაა ხელოვანისათვის, ორამეთ მანძილი, მოკლე ისტორიული მანძილი მაინც შემოქმედსა და მისი პოეზიის ობიექტს შორის. ოქტომბრის რევოლიუციასთან დაკავშირებით ეს მანძილი ძალიან მოკლეა საქართველოში, მაგრამ რევოლიუცია წინ გვიშლის შორეულ პერსპექტივებს და მათ გაშლაშია პროლეტარული პოეზიის გაშლაც და აყვავებაც.

რ. ქორქია.

პუანკარეს და მაკდონალდის გრჯუალებში.

ის დიდი სიმპატია რაც ჰქონდა მენშევიკების მამამთავარს ნ. ჟორდანიას ქართველ მასაში, ის წარსული რევოლიუციონური მოღვაწეობა სოციალიზმის სარბიელზე და მასწავლებლის წმინდა მოვალეობანი, რასაც პირნათლად ასრულებდა თავის სამშოლოს მშრომელ მასის მიმართ, ჩვენ ყველას გვაძლევდა უფლებას გვეფიქრა, რომ შეცდომა ამ მშრომელ მასისადმი, უცხო ქვეყანაში გადაბანაკებით, გამოსწორებულ იქნებოდა მის მიერ; დაბრუნდებოდა თავის საყვარელ საქართველოში, დაუბრუნდებოდა ძვირფას კერას, მშრომელ მასას და ამ მოხუცებულობისას გასაკეცებული ენერგიით შეუდგებოდა მუშაობას მათ საბედნიეროთ, რომლებმაც უკვე დასტოვეს ძველი შემცდარი გზა, გზა „დემოკრატიზმის სოციალიზმისკენ“ და აირჩიეს პროლეტარიატის დიკტატურით სიარული, რომელიც უფრო მოკლე, სწორი და პირდაპირია. მაგრამ, მიუხედავათ ამ ჩვენი მოლოდინისა, მენშევიკების ბელადი ნ. ჟორდანია ჩვენ თავზე ბავშურ დარიგებას გვიკითხავს.

ნუთუ მართლა მატერიალისტმა ნ. ჟორდანიამ ვერ აუღო ალღო ამდგომარეობას როგორ მოხდა რომ დიდი თეორეთიკოსი დღევანდლამდის ვერ გამოერკვია, ვერ შეაფასა, ვერ დარწმუნდა, მენშევიკურ პარტიის ოპორტიუნისტობაში, მის შემთანხმებელ პოლიტიკაში და ბანდიტ-ყაჩაღურ მოქმედებაში.

ყველა ეს დამტკიცებული, ათასჯერ დასაბუთებულია. ამას, მშვენივრათ გრძნობს პატივცემული ნოე, მაგრამ მის და საუბედუროთ მეორე ინტერნაციონალის გაკოტრებულ წევრებს ისე ჰყავთ შებოჭილი, ისე ჰყავთ მახეში მომწყვდეული, რომ მას თავისუფალ გასაქანს არ აძლევენ.

ბატონო ნოე, თქვენ რომ საფრანგეთში იკვებებით საბჭოთა ხელისუფლების მტრების მიერ გავრცელებულ ათასგვარ ჭორებით და უსაყვედურებთ ჩვენ ამხანაგებს, ყოფილ მენშევიკურ პარტიის წევრებს, ვითომ და ისინი „ჩეკას“ გავლენის ქვეშ გაურბიან მენშევიკურ პარტიასო, ვითომდა „ჩეკას“ პადვლებში იტანჯებიან—იხრწნებიანო ერთი მითხარით: თუ საბჭოთა ხელისუფლების მტრები გმინავენ „ჩეკას“ კლანჭებში, ეს კიდევ დასაშვებია, გასაგებია, მაგრამ თქვენ, თქვენც ხომ გმინავთ, იტანჯებით მაკდონალდის და პუანკარეს „ჩეკას“ კლანჭებში, რომელნიც გაწერინებენ იმას, რაც თვითონ მოეპრიანებათ.

რომელია სასირცხვილო?

ყოფნა მტრის ბანაკში, მტრის „ჩეკის“ გავლენის ქვეშ და მათი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ წისქვილის ჩარხის ტრიალი, თუ გამოფხიზლება საბჭოთა წესწყობილების ცნობაში და აღმშენებლობითი მუშაობა მუშების და გლეხების სასარგებლოთ.

ივ. დავთიანი.

საფრანგეთის არჩევნები და წვრილი სა ელმწიფოები.

მკითხველებმა უკვე იციან საფრანგეთის არჩევნების შედეგი. ამ არჩევნების შედეგათ პუანკარე დამარცხებული დარჩა. რა თქმა უნდა წყალი შეუდგა იმ პოლიტიკასაც, რომელსაც ასეთი ენერგიით აწარმოებდა ბ-ნი პუანკარე.

უნდა ვიფიქროთ, რომ პუანკარე—ომის წასვლის შემდეგ საფრანგეთის პოლიტიკა შეიცვლება. შეიცვლება ის მარცხნივ გადახრით, თუმცა დიდი იმედი ახალი მთავრობის „მემარცხნეობისა“ მაინც არ უნდა ვიქონიოთ, ვინაიდგან აშკარაა, საფრანგეთის ბურჟუა რაც „უნდა ხეხო ქვიშითა“ მაინც ბურჟუათ დარჩება და თავისას არ დაიშლის, საკუთარ ინტერესებს ისიც ენერგიულად და მედგრათ დაიცავს.

მაგრამ პუანკარეს დამარცხებას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ მასთან ერთად, ჩვენის აზრით, ბოლო მოეღო ჩვენდამი გააფთრებულ მტრობას, საფრანგეთის მხრივ. ამაში გვარწმუნებს ის ფაცა-ფუცი და მღელვარება, რომელსაც იჩენს წვრილი სახელმწიფოები, როგორიც არიან რუმინია, პოლონეთი, სამხრეთ—სლავია, ჩეხო სლოვაკია და სხვები.

ამ სახელმწიფოთა ფაქტიური მმართველი და ბატონ პატრონი იყო „პუანკარე—ომი“. ის ასაზრდოებდა, მაგალითად, პოლონეთს. ის უწევდა სამხედრო დახმარებას მთელ რიგ წვრილ სახელმწიფოებს. მისი ოფიცრები წვრთნიდა ამ სახელმწიფოთა ჯარისკაცებს და სხვა.

მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ გასულ წელს ღენერალ ფოშის მიერ პოლონეთის და სხვა სახელმწიფოთა ჯარების და ცეხე სიმაგრეთა დათვალიერება.

წვრილი სახელმწიფოები საზრდოობდენ საფრანგეთის ნასუფრალით, პუანკარეს წყალობით. ისედაც განადგურებული და გაჩანაგებული საფრანგეთის ხაზინა, პუანკარეს შეოხებით კიდევ და კიდევ ცარიელდებოდა. სახელმწიფო თანხები „სესხათ“ ეძლეოდა ხან პოლონეთს, ხან

რუმინეთს, ხან კიდევ ჩეხო სლოვაკიას და სხვას... სამაგიეროთ პუანკარე ტყავს აძრობდა დამარცხებულ გერმანიას და არსებობის უკანასკნელ წყაროსაც კი ართმევდა მას.

წვრილ სახელმწიფოებს იმიტომ ასხამდა იარაღს „პუანკარე ომი“ და იმიტომ ასაზრდოებდა, რომ ჩვენს წინააღმდეგ ჰყოლოდა დაგეშილი ფინიები, რომელნიც, აუშვებდა თუ არა, ჩვენ დაგვეტაკებოდენ და შეეცდებოდენ ბოტონის სურვილების შესრულებას. ეს წვრილი სახელმწიფოები ფრიად დამოკიდებული იყვნენ პუანკარეს—საფრანგეთისაგან.

გასაგებია ამიტომ ის გულის ფანცქალი, რომლითაც პოლონეთი, რუმინია და სხვა... მოელოდა არჩევნების შედეგებს საფრანგეთში. საფრანგეთის არჩევნებს უნდა გადაეწყვიტა პუანკარეს ბედი, მაშასადამე სწყდებოდა მათი ბედიც. დამარცხდებოდა თუ გაიმარჯვებდა არჩევნებში პუანკარე, ამაზე იყო დამოკიდებული ის, მიიღებდა ეს სახელმწიფოები შემდეგშიაც ფინანსიურ და მატერიალურ დახმარებას საფრანგეთიდგან თუ არა.

ამიტომ იყო, ვიმეორებთ, რომ წვრილი სახელმწიფოები გულის ფანცქალით მოელოდენ არჩევნების შედეგებს საფრანგეთში.

არჩევნების დასრულების შემდეგ, როდესაც გამოირკვა, რომ საფრანგეთის ურა პოლიტიკას ბოლო მოეღო, რომ მაშასადამე ბოლო მოეღო საფრანგეთის ხარჯზე ცხოვრებას, პოლონეთსაც და სხვა წვრილ სახელმწიფოებს თავზარი დაეცათ.

პუანკარეს დამარცხება, საშინელი ჭრილობა იყო მათთვის, საფრანგეთის ხალხის მიერ მიყენებული.

გამოეცალა ფეხს ქვეშ ნიადაგი პატარა იმპერიალისტებს.

პოლონეთის მთავრობის კრიზისი ფაქტია.

პოლონეთი მთავრობა ცუდ გუნებაზეა. რაღა ეშველება ამ პატარა ფინიას, საფრანგეთის მთავრობის და პოლიტიკის შეცვლის შემდეგ?

უკვე არის ცნობა, რომ პოლონეთის წარმომადგენელი პარიზში გამოწვეული იქნება და მის მაგიერ „სხვა“ დაინიშნებაო.

არც რუმინია არის გულ დამშვიდებული, არჩევნების შედეგებმა მასაც გული დასწყვიტა, იქაც ახალი მთავრობის ძიების ფაცა ფუცია.

სამხრეთ სლავიის „ბატონს,“ ალექსანდრეს ისე გაჰფუჭებია ხასიათი, რომ საფრანგეთში განზრახულ მოგზაურობაზეც უარი განუცხადებია.

ჩეხო-სლოვაკიაც და სხვებიც, რა თქმა უნდა, იძულებული იქნებიან გარემოების მიხედვით იცვალონ ფერი და საბჭოთა კავშირთან სხვა ენაზე დაიწყონ ლაპარაკი. მოსალოდნელია რომ, საფრანგეთის არჩევნების შედეგები დიდ ცვლილებას გამოიწვევს არა მარტო საფრანგეთის შინაურ და საგარეო პოლიტიკაში, არამედ ის დიდ გავლენას მოახდენს აგრეთვე მთელ რიგ ვასსალურ სახელმწიფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკაზეც. ამ არჩევნების შედეგათ, უდაო, მადა შეეკვეცებათ წვრილ სახელმწიფოების ურა იმპერიალისტებს.

ჩვენსა და მათ შორის ურთიერთობაც ახალ პერიოდში შედის.

ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა იმას, რომ ჩვენ თითქოს მათი ავანტიურებისაგან სავსებით დაზღვეულნი ვართ. შესაძლებელია და მოსალოდნელი მათგან კიდევ ახალი ავანტიურები, ვინაიდგან ბურჟუაზია სავსებით ვერ შეურიგდება წითელ რესპუბლიკების არსებობას და შეეცდება ხელი შეგვიშალოს ჩვენ, მაგრამ, საფრანგეთში რეაქციის ბურჯის, პუანკარეს, დამარცხების შემდეგ, მათ ხერხემალი შესუსტებული აქვთ და აგრე იოლათ ვერას გაბედავენ.

მათთვის ისევ მეტი ხელსაყრელი ჩვენთან ეკონომიური ურთიერთობის გაჩაღებაა.

ახლო მომავალი გვიჩვენებს, როგორ სახეს მიიღებს ჩვენი და წვრილი სახელმწიფოების ურთიერთობა.

ყოველ შემთხვევაში, ეხლავე შეიძლება თამამათ ითქვას, რომ წვრილი სახელმწიფოების მადა და გამბედაობა ჯერ ჯერობით შეკვეცილია.

შემდეგი მათი პოლიტიკა ისევ საფრანგეთის მომავალ მთავრობის პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

გვიანი.



ამხ. ფარნიევის მოხსენება.

(დასასრული).

სეით დევდარიანი ამბობს: დღეს მე მიკავია ხელში მუშათა კლასის დიქტატურის დროშა, თუმცა მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს არ ვეკუთვნიო. ამხანაგებო, დევდარიანის აზრით გამოდის, რომ მუშათა კლასის დიქტატურის მისწრაფებანი სხვაა და მესამე კომუნისტური ინტერნაციონალისა სხვაა. ჩვენ არ ვეთანხმებით დევდარიანის ამნაირ დასკვნაში იმიტომ, რომ მუშათა კლასის დიქტატურის დროშის დაკავება მხოლოდ ისეთ პარტიას შეუძლია, რომელიც გაიმიჯნა მმართველი წრეებისაგან და უყოყმანოთ-ურყევლათ იკაფავს გზას მუშური დემოკრატიისაკენ, მუშათა და გლეხთა დაკავშირებით. ასეთი პარტიები კი მხოლოთ კომუნისტური პარტიებია, რომლებიც გაერთიანებულია მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში და რომელიც ატარებს ცხოვრებაში იმას, რასაც ასწავლიდა მარქსი და ენგელსი მუშათა კლასს. თვით დევდარიანიც არ ჰყოფს უარს, რომ მარქსიზმი არის ბოლშევიკებთან და მარქსისტებიც მასთან უნდა იყვნენო. ვინ არ იცის, რომ ბოლშევიკები იგივე კომუნისტებია? დევდარიანმა არ იცის ეს? რა თქმა უნდა ყველაფერი ეს იცის დევდარიანმა. აი ამხანაგებო მოკლეთ და გაკვრით ის, რაც უნდა მეთქვა სეით დევდარიანის ზოგერთ გაურკვეველ შეცდომების შესახებ, რაიცა არ უნდა შეშვენოდეს ისეთ თეორეტიკოს-მარქსისტს, როგორიცაა სეით დევნარიანი. ჩემის აზრით, ამხანაგებო, გაცილებით უკეთესი იქნება თქვენც გამოსთქვათ თქვენი შეხედულება ყველა ამ საკითხების შესახებ. მასალებს თქვენ უკვე გაცნობილი ხართ ჩვენი ჟურნალებიდან, —„მოამბე“ და „სიმართლის ხმა“-ს ნომრებიდან, სადაც მოთავსდა ყველა მასალები და აგრეთვე სეით დევდარიანის ყველა წერილებიც.

ამხ. ფარნიევის უკანასკნელი სიტყვა.

ამხანაგებო, მე მხოლოდ ორიოდე სიტყვით მინდა გავცე პასუხი ილა მაისურაძეს. მას ეწყინა, რომ უნებლიეთ მონაწილე შეიქნა კასრაძის ბანდის საქმიანობის ერთი ნაწილის და ამაზე მე სხვათა შორის მოვაგონე. აქ საწყენი არაფერია, ვინაიდან ეტყობა მაისურაძეს სრულიადაც არ უნდოდა გულით იმ საქმის კეთება, რასაც აკეთებდა კასრაძის ბანდა და თურმე, თუ საჭირო იქნებოდა, შეებრძოლებოდა კიდეც. სჩანს, რომ ილა მაისურაძეს საჭიროთ არ მიაჩნდა იმ დროს კასრაძეს შებრძოლებოდა, ესე იგი თანაუგრძნობდა, ასე გამოდის ილა მაისურაძის სიტყვიდან. რაც შეეხება კასრაძის ბანდის შესახებ, მე მხოლოთ მიგითითეთ ვანო ხმალაძის წერილებზე, რაიცა იყო მოთავსებული ჩვენ ჟურნალში და რომელიც (ხმალაძე) ითვლებოდა ორგანიზატორათ ხელმძღვანელათ ბანდების საქმეების გო-

რის მაზრაში. ამხანაგებო, ხასოხოვმა და გაგლოევმა თითქმის თავის გამართლება მოინდომეს, ჩვენ არაფერი არ დაგვიშავებიათ ჩემის აზრით ეს არ არის სწორი შეხედულება. ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ პასუხი ვაგოთ ჩვენი ყოფილი პარტიის მოქმედება-მოღვაწეობაში ისტორიის და მშრომელი ხალხის წინაშე, იმდენათ, რამდენათაც ვიყავით წევრები და ვერ გავამართლეთ მშრომელი ხალხის ჩვენდამი ნდობა. თორემ ასე რომ იყოს, მეც ვიტყვი, რომ 1918 წ. გორის მაზრაში, ცხინვალის რაიონში რომ მოხდა აჯანყება, ტუსაღები ვაუშვი აღდგომა ღამეს რიცხვით 400-ზე მეტი, სადაც მეტიწილი ოსები იყო და ნახევარზე ცოტა ნაკლები ქართველები, სომხები და ებრაელები, და ვინაიდან ამ აჯანყებას მიზანი ჰქონდა საბჭოთა სისტემის დამყარება. ამიტომ მე მხარს უჭერდი საბჭოთა მთავრობას და ამისთვის მადლობა უნდა მითხრათქო? ან და ახლაც, აგერ რამდენი ხალხი გამოვიდენ ციხეებიდან, აქაც მიმიღია მონაწილეობა, და მერე, ოდესმე უნდა ამით ვიმართლო თავი? არა, ამხანაგებო, ჩვენ სრულიად გულწრფელათ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენკი არ ვცდებოდით, შემცდარი და ყალბი გამოდგა ის გზა, რომლითაც ჩვენ ვიდოდით და გვეგონა სოციალიზმს ვემსახურებოდით. ნამდვილათ კი სულ უკუღმა გამოგვივიდა. ახლა კი რა რომ დავინახეთ ჩვენი თვალით ყველაფერი ეს, ჩვენითვე უნდა გავასწოროთ ჩვენი წამხდარი საქმე.

წარსულიდან.

(ს. დ. მუშათა ორგანიზაციების მე-5 კონფერენცია.)

ეს იყო 1908 წელს.

იანვრის საღამოა.

სადღაც ავლაბარში მღვდელ პოპოვიანის სახლში იკრიბებიან კონფერენციაზე მოსული დელეგატები.

პოპოვიანიდან სახლი ნაქირავები იყო 20 მანეთად. კონფერენცია ახალი გახსნილი იყო, რომ ჩვენმა ყარაულებმა გვაცნობა:

— უშველეთ თავს, ოხრანკა მოდისო.

დელეგატები დაიფანტენ შავი კარებიდან.

დაჭერით არავინ დაუჭერიათ. მხოლოთ მაგიდაზე დარჩა ორატორების სია და აგრეთვე ოთახში კალოშები, ქუდები და პაპიროსის ნამწვავები.

ჟანდარმებმა სტაცეს ხელი მღვდელ პოპოვიანს.

— გვითხარი, ვინ იყო აქ?

პოპოვიანი არ იყო იდეური კაცი, მაგრამ მაინც გამოიჩინა იმდენი სულგრძელობა, რომ არავინ გასცა.

— არავინ აქ არ ყოფილა, რას ბრძანებთ?—უპასუხებს მათ პოპოვიანი.

— მაშ რაა ეს ნამწვავები?—ეკითხება ჟანდარმის პოლკოვნიკი.

— მე ქვრივი კაცი ვარ, სახლში არავინ მყავს... სახლის დასალაგებლად მეზობლის ქალი მოდის კვირაში ერთხელ.

ამიტომ გროვდება პაპიროსის ნამწვავები და მტვერი,—უპასუხებს პოპოვიანი.

— ეს სია რა არის?—უჯავრდება პოლკოვნიკი.

— ესენი მიცვალებულნი არიან, უნდა მოვიხსენოთ წირვის დროს,—არ იბნევა ბოპოვიანი.

სია იწყებოდა ამხ. ასალოთი*).

— ეს ქუდები და კალოშები ვისიღაა? არ ცხრება პოლკოვნიკი.

— ვისი იქნება? როცა მიცვალებულს ვწირავ, ზოგი ფულს მაძლევს, ვისაც ფული არ აქვს, მიცვალებულის ქუდს, კალოშს და ტანისამოსს იძლევა. ამიტომ მომიგროვდა ეს ნივთები,—უპასუხებს პოპოვიანი.

მაგრამ პოპოვიანს არ დაუჯერეს და დააპატიმრეს.

დელეგატების გაქცევის დროს ბნელაში ვის ქუდი დაკარგოდა გზაში, ვის კალოშები და სხვა.

სილიბისტრო ჯიბლაძეს ღობეზე გადასვლის დროს ქუდი ჩამოეგო სარზე და იქვე დაეტოვებია. ნახეს მეორე დღეს.

ავლაბარში ჩავარდნის შემდეგ ჩავარდით დიდ საფიქრებელში: არ ვიცით სად გავმართოთ კონფერენცია.

ერთ საღამოს მოდის ჩემსას ემილ სირბილაძე (პარიზელი) და მოყავს ჩემსას (ვცხოვრებდი მაშინ გოგოლის ქუჩაზე) რ. ს. დ. მ. პ. ცეკას წევრი ლატიში გერმანი*), რომელიც ჩამოსული იყო ამ კონფერენციაზე დასასწრებლად როგორც ცეკას წარმომადგენელი.

— ეს ამხანაგი თქვენსას უნდა დარჩეს,—მეუბნება ემილ სირბილაძე.

მაშინ გოგოლის ქუჩაზე ერთ ბინაზე ვიდექით მე და მიხა ორმოცაძე, რომელიც მსახურებდა საზოგ. „კახეთში“.

ჩამოვარდა ლაპარაკი კონფერენციის ადგილის მონახვის შესახებ.

რა იქნება კახეთში რომ გავმართოთ?—ვამბობ.

გადავწყვიტეთ, რომ მიხა ორმოცაძემ მოელაპარაკოს საზოგადოება „კახეთის გამგეობის ერთ ერთ საიმედო წევრს, რომ დაგვითმონ ბინა.

რამდენადაც მახსოვს, ემილ სირბილაძე იყო მაშინ კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის წევრი. მეორე დღეს გავიგეთ, რომ მოლაპარაკება საზოგადოება „კახეთთან“ კარგი შედეგით დამთავრებულა.

მოლაპარაკებას აწარმოებდენ სილ. ჯიბლაძე და მიხა ორმოცაძე.

დაგვითმეს ბინა და გაიმართა კონფერენცია.

რომ ოხრანკის ხაფანგი აგვეცდინა, მივმართეთ შემდეგ ხრიკს: ერთ ოთახში კონფერენცია იყო, მეორე ოთახში კი მორთული იყო სუფრა. თუ ვინმე დაგვეცემოდა თავს, საჩქაროთ უნდა გადავსულიყავით მეორე ოთახში და შევდგომოდით „ქეიფს“.

ამ დღეს უქმეც იყო და ამიტომ საზოგადოებაში მუშა მოსამსახურენი არ იყვნენ. მაგრამ კონფერენცია დამთავრდა უხიფათოთ. ოხრანკამ იცოდა, რომ თბილისში იყო კონფერენცია, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, იცნობდა ამ კონფერენციის ბევრს მონაწილეს, მაგრამ, ალბად, მას უნდოდა მთელი კონფერენციის დაჭერა და ამიტომ ცალკე პირებს არ ახლეს ხელი. კონფერენცია კი ვერ ჩაიგდო ხელში.

კონცერენციაზე თავ სამტვრევი საკითხი იყო ბოლშევიკურ-მენშევიკური ტაქტიკა.

ამხ. გერმანს ეჭირა მაშინ შემარიგებელი ხაზი. რამდენადაც მახსოვს, ცეკაში ასეთი ხაზის მიმდევარი მხოლოთ ამხ. გერმანი იყო.

მახსოვს აგრეთვე, რომ ჩვენი მუშები უკმაყოფილონი იყვნენ ამ განხეთქილებით.

ამ დროს მუშები ერთნაირად აგროვებდენ ფულს როგორც ბოლშევიკურ, ისე მენშევიკურ პრესისთვის და ბევრი ფიქრობდა, რომ მუშაობის პროცესში მოხდებოდა ამ ორი ფრაქციის გაერთიანება.

რკინის გზის მუშებმა ამ კონფერენციის დროს გამოაქვეყნეს ადგილობრივ ს. დ. გაზეთში დეკლარაცია ფრაქციულ ბრძოლის მოსპობის შესახებ. ამ დეკლარაციას

---

*) ასალო ვადაჭკორია გარდაიცვალა ციხეში 1909 წელს. იყო ფრიად მომზადებული მუშა და ენერგიული მუშაკი პარტიაში.

*) მხოლოდ წელს, მოსკოვში ყოფნის დროს, გავიგე, რომ ამხ. გერმანი იყო დანიშევსკი, რომელიც ამჟამად კომპარტიის წევრია და მუშაობს ჯარში.

ხელს აწერდა რამდენიმე მუში და მათ შორის, რამდენადაც მახსოვს, პეტრე არველაძე*), ვალ ვაშაკიძე, ლადო ჯიქიძე**), მე და სხვები. დეკლარაციის ავტორი ვიყავი მე. აღნიშნული ამხანაგები მაშინ ვმეცადინეობდით ერთ წრეში.

მაგრამ ჩვენი ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. შეერთება ფაქტიურად არ მოხდა. და არც შეიძლებოდა მომხდარიყო, ვინაიდან მას ჰქონდა ღრმა მიზეზები.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ, გამოშვებულ იქმნა რეზოლიუციები.

ოხრანკა და ჟანდარმერია დაიბნა, მათ ნაცარში ჩაუვარდათ კოვზი. რომ სრულიად ხელცარიელი არ დარჩენილიყვნენ, გაუსვეს ხელი კონფერენციის მონაწილეებს და დაუწყეს მათ სასტიკად დაპატიმრება.

კონფერენციის მონაწილეებს რომ ისინი, თურმე, კარგად იცნობდენ, სჩანდა იქიდან, რომ სრულიად შეუცდომლად დაიჭირეს ბევრი ამხანაგი და წარუდგინეს ბრალდება კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ.

ამხ. გერმანი, რომელიც ჩვენსას იყო დაბინავებული, ძლივს გავაპარეთ თბილისიდან.

ამხ. გერმანის წასვლის შემდეგ მეორე თუ მესამე დღეს დამაპატიმრეს მეც.

ციხეში შევხვდი ჩვენი კონფერენციის პირველი ბინის პატრონს მღვდელ პოპოვიანს.

ის ყველას სცნობდა და მოუთხრობდა მის თავგადასავალს.

ჩვენ მას ვერ ვენდობოდით და სრულ უარზე ვიყავით.

ამხ. ფ. მახარაძემ***) ციხეში გაგვაფრთხილა ყველა დამდგარიყავით სრულ უარზე, თითქო არაფერი არ ვიცით არც აველაბრის ბინის შესახებ და არც პოპოვიანს ვიცნობთ, თუ ის დაგვიწყებდა ლაპარაკს კონფერენციაზე.

ჩვენც ასე ვიქცეოდით.

პოპოვიანი კი გაკვირვებული იყო ჩვენი საქციელით.

მოდის ისიდორე რამიშვილთან, და მოუთხრობს თავის ამბავს, ეუბნება კონფერენციის ამბებს, თხოვს რჩევას, როგორც კონფერენციის მონაწილეს. ისიდორე კი განგებ გაკვირვებული შესცქერის მას— თითქო წარმოდგენა არ ქონდეს იმაზე, რასაც მოუთხრობს პოპოვიანი.

ბოლოს პოპოვიანი ალბად მიხვდა, რომ ჩვენ მას არ ვენდობოდით შევკვეთცა, რომ ის არავის არ გასცემს და ყოველივე ტანჯვას მტკიცეთ გადიტანს, მიუხედავად იმისა, რომ ჟანდარმები მას პირდებიან განთავისუფლებას, თუ დაადებს პირზე კონფერენციის მონაწილეებს და გასცემს მათ.

ჩვენ კიდევ დავფიქრიანდით და ვეუბნებით:

— რას ბოდავ? როდის ვიყავით შენსას, ან როდის გიცნობდით შენ?

ამის შემდეგ პაპოვიანი გვერიდებოდა.

მას, როგორც მღვდელს, პოლიტიკურები ხშირად დასცინოდენ. ბოლოს მან ანაფორაც გაიხადა.

ჩვენ ის დავიახლოვეთ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა მას სამუდამო გადასახლება ციმბირში და გამოირკვა, რომ ის თავიდან ბოლომდე მტკიცეთ იდგა თავის პოზიციებზე და არც ერთი კონფერენციის მონაწილე არ გაუცია.

ბოლოს პოპოვიანი სრულიად გაითქვიფა პოლიტიკურებში და მეტად კმაყოფილი იყო ამ ახალი საზოგადოების.

ჩქარა, როგორც პოპოვიანი, ისე კონფერენციის მონაწილენი დაიქსაქსენ. პოპოვიანი გაგზავნეს ციმბირში, დანარჩენ ამხანაგებთაგანს ზოგს კატორღა მისცეს, ზოგი ადმინისტრატიულად გადაასახლეს ცივ ქვეყნებში, და დაგვაშორეს ერთმანეთს...

1917 წელს ივნისში სასახლეში, რვა წლის შემდეგ კვლავ შევხვდი პოპოვიანს. ციმბირს უკვე დაეჩნია თავისი დაღი.

ის ძლივს მოაბიჯებდა კიბეზე ფეხს.

მე ვერ ვიცნობდი, მას რომ არ ვეცნე.

ის იყო დაბრუნებულიყო ციხიდან და ეძებდა ნ. ჟორდანიას:

— მინდა ნოეს რაიმე სამუშაო ვთხოვო, ძალიან გაჭირვებული ვარ,—შემჩივლა მან შეხვედრისას.

მე შევიყვანე ის ნ. ჟორდანიასთან და პირადათ ვთხოვე რაიმე საქმე აღმოეჩინათ მისთვის.

შემდეგ პოპოვიანი აღარ მინახავს.

ალბად, ის ცოცხლებში აღარაა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პოპოვიანი იყო მეტად პატიოსანი და მტკიცე ხასიათის ადამიანი.

მის ადგილას არა იდეური და სრულიად გარეშე მყოფი ადამიანი უთუოდ შეცდებოდა, დაადებდა ხელს, „დამნაშავეებს", რომ თავი ეხსნა საშინელ გაჭირვებიდან, რომელიც ჩვენს გამო გადაიტანა პოპოვიანმა.

ა. რუხაძე.

*) კომპარტიის წევრი, მოკვდა ტიფით 1919 წელს სამოქალაქო ომის ფრონტზე.

**) შეგნებული მუშა დაიკარგა უგზო-უკვლოთ.

***) ამ დროს ფილიპე იყო ციხეში.

ამხანაგო ფარნიევ!*)

გაზეთებიდგან გავიგე, რომ შენ მენშევიკების ბანაკიდგან გადასულხარ ბოლშევიკებთან. ამ ცნობამ ჩემში სიამოვნების ჟრუანტელი დაბადა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ვინაიდან, ადრე თუ გვიან მენშევიკების და ესერების ყალბი ნიადაგი უნდა გამოაშკარავებულიყო და ყველა პატიოსანი მუშა მებრძოლი უნდა გადასულიყო იმ ბანაკში, სადაც ჭეშმარიტ მუშათა მიზნის, განხორციელება, მისი კაპიტალის ძალმომრეობისაგან განთავისუფლება ჰქონდა დასახული. ასეთი ბანაკი, იყო და არის ბოლშევიკების ბანაკი, ბრძოლაში გაწრთვნილი კომუნისტური პარტია და კომინტერნი. ეს რუსეთის რევოლიუციამ დაამტკიცა. გილოცავ, ამ ჭეშმარიტი გზის პოვნას და კომუნისტურ პარტიაში გადასვლას. მით უფრო სასიამოვნოა და საყურადღებოა შენი გადასვლა ბოლშევიკებთან, რომ შენ საქართველოს მებრძოლთა შორის უკანასკნელი ადგილი არ გეჭირა, და რა თქმა უნდა, რომ ეს მოვლენა მენშევიკებს მეხივით დაატყდებოდათ თავზედ. ისინი ალბათ ავრცელებენ ხმებს თითქოს ყველა მენშევიკი წინათ ყოფილი და გადასული ბოლშევიკებთან გადადიან **კარიერისთვისა და კერძო ინტერესებისთვის**. საწყალი და საბრალო მენშევიკები და ესერები! როგორა სცდებიან როდესაც ასე ფიქრობენ? თითონ ვიწრო პარტიული თავმოყვარეობისათვის თავი ვერ დაუწევიათ და აქ ყველა პატიოსან მებრძოლს ჩირქსა სცხებენ.—სიმართლე რომ გითხრა, თითონ ბურჟუაზიის მეგობრები მისი ამყოლნი, მუდამ კაპიტალის კარებთან მდგომნი არიან, როგორც კაპიტალის ლაქიები, აბა ამათგან განა გასაკვირველია, ერთი ცხოველისა არ იყოს, რომ ადამიანმა წიხლი მიიღოს? რა თქმა უნდა საწყენი არა რის. დეე ილაპარაკონ ბურჟუაზიის ლაქიებმა, მოვა დრო როდესაც საერთაშორისო პროლეტარიატის მტერი

*) ეს წერილი მივიღეთ კრასნოიარსკიდან. ამხ. კაჭაური არის ძველი რევოლიუციონერი მებრძოლი მუშა. მას კარგათ იცნობს ძველი ამხანაგები ტფილისში. ამხანაგი ეკუთნოდა სოციალისტ რევოლიუციონერების პარტიას. როგორც წერილიდგან სჩანს ის უკვე გადმოსულა საბჭოთა პლატფორმაზე.

წერილი საყურადღებოა, როგორც მაჩვენებელი ღრმა გარდატეხისა, რომელსაც აქვს ადგილი არა მარტო აქ საქართველოში—არამედ რუსეთშიც.

რედაქცია.

—კერძოთ ჩვენი მენშეკიკები და ესერები წარსდგებიან მუშათა სასამართლოს წინაშე. წითელი საბჭოს სასამართლო ღირსეულად დაიფასებს მათს საქციელს. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ძლევამოსილ პროლეტარიატს და მუშათა მთავრობას დაუმალება—ვიმეორებ ალრე თუ გვიან ყველა ჩვენი მტერი, ჩვენ სასამართლოს წინაშე წარსდგება. ჩვენ, ვინც უკვე შეიგნეთ ის შემცდარი გზა, ეხლა უკვე გაძლიერებულის ძალ-ღონით შეუდექით კიდეც ჩვენი საბჭოს ორგანოების გამაგრებას. თქმა არ უნდა, რომ არ დავიშურებთ უკანასკნელ ძალ-ღონეს და ჩვენს სიცოცხლეს შევწირავთ იმ პარტიას, რომელიც უდგას საერთაშორისო რევოლიციას სათავეში.—ეს პარტია კი კომუნისტური პარტიაა. მაშ გაუმარჯოს ბრძოლაში გაწრთვნილ ბოლშევიკების პარტიას.

ახლა რამოდენიმე სიტყვა პირადათ ჩვენზედ. ნაკითხულიდგან უკვე გამოიტანდი შენ ჩემს შეხედულებას და მოსაზრებას. თავისთავად ცხადია, რომ მე ერთი იმ მრავალთაგანი ვარ, რომელიც სცდილობს მოუტანოს სარგებლობა ჩვენს ხელისუფლებას. ერთი ის ფაქტი, რომ მე ბოლშევიკების იაჩეიკაში ვარ, ამბობს იმაზედ, რომ მე კომუნისტების ბანაკში ვარ, და მაშასადამე ყველა ესერის და მენშევიკის მტერიც გახლავარ. ჩემი გადაბანაკება ოფიციალურად მოხდა ჯერ ისევ 1920 წ. ვმუშაობდი როგორც უპარტიო თითქმის $2^1/_2$ წელიწადი, მერე ესერების ყრილობის შემდეგ 1922 წ. 18 მარტიდგან უკვე პარტიისკარები გამეღო და ჯერ გადაწყვეტილი არ არის პარტიის მე 13-ტე ყრილობის დასრულებამდის. —პირდაპირ პარტიის წევრათ ვიქნები მიღებული თუ კანდიდატათ, სამართლე გითხრა ჩემთვის ეს საკითხი რა თქმა უნდა სერიოზულ საკითხს წარმოადგენს და **კანდიდატათ ჩანიშვნა ჩემთვის სილის გარტყმა იქნება.** მაგრამ ვფიქრობ რომ მიღებული იქნება მხედველობაში ჩემი ჯერ წინანდელი ბრძოლა და შემდეგი მუშაობა ამდენი ხნის განმავლობაში.

ამხანაგური სალამით შენი.

დ. კაჩაური.



მუშათა წერილები

რომელი გზით?

დესპოტიურ რუსეთის დუხჭირ პირობებით სულშებორკილი მუშათა კლასი რევოლიუციით შექმნილ ახალ პირობებს ვერ შეხვდა საკმაოთ მომზადებული. ბურჟუაზიულ მართვა გამგეობაში გაწვრთნილი ელემენტები არ ვარგა პროლეტარული დიქტატურის და სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად. სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი? როგორ უნდა მოეწყოს რომ მართვა-გამგეობას შეუჩვეველი და მოუმზადებელი მუშები ჩაუდგნენ სათავეში თავიანთ სახელმწიფოს მართვის სწორი გეზი აიღონ? ეს კითხვა რევოლიუციის პირველ დღიდან წამოიჭრა და ჯერაც არ არის სავსებით გადაჭრილი. აქ არის ერთგვარი კვანძი. ამ კვანძის გამოხსნაზეა დამოკიდებული რევოლიუციის ბანაკის გაჯანსაღება. ტყუილად არ არის ნათქვამი,—საქმე განზრახულის მოპოვებაში-კი არ არის, არამედ მოპოვებულის შენახვა შენარჩუნებაში"-ო.

პრაქტიკულად ამ კითხვის გადაჭრა დაიყენა მხოლოდ საბჭოთა ძალა-უფლებამ უდიდესი ძალა იყო საჭირო, რომ რევოლიუციის პირველივე დღეებიდან მუშათა კლასი გაენთავისუფლებინა თავი ბურჟუაზიულ ინტელექტის გავლენისაგან და ერთის დაკვრიი დაემსხვრია ის აზრი, რომ ვითომ მხოლოთ ინტელეგენტი არის დაბადებული მართვისა და გამგეობისთვის. საბჭოთა ძალაუფლებამ აქ გამოიჩინა თავისი ენერგია. მან მაგრად მოსცხო ბურჟუაზიულ ინტელეგენციას, სპეცებს ერთის ხელით, მხოლოდ მეორე ხელით გახსნა მუშათა ფაკულტეტები, მოსამზადებელი წრეები და სასწავლებლები. ეხლა თან და თან იზურგნება ბურჟუაზიული სპეც-ინტელეგენტები და მათ ადგილს იჭერს ახლად მომზადებული მუშები.

დღეს მუშას საკუთარი სახელმწიფო აქვს, იგი არ არის სხვისი პოლიტიკური ყმა ან მონა. მან რკინის ხელში აიღო მართვა გამგეობის საქე და მტკიცეთ დაიცავს მას, ვინემ პირში სული უდგია და გვერდში გული უცემს. ეხლა ის მეცნიერებას იპყრობს. მხოლოდ საჭიროა არ შეჩერდეს მუშებისთვის სწავლა ცოდნის მიწოდება.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ამ ერთი თვის წინათ ტფილისში დაარსდა მუშებისაგან შემდგარი წრე მარქსისტულ-ლიტერატურის შესასწავლად. ამხანაგებმა დიდი დახმარება გაუწია იდეიურათ და ტექნიკურად ამ ჯგუფს. აქ არიან თავმოყრილი ტფილისის ძველის ძველი მუშები, რევოლიუციონერი მუშები, რომელთა ზურგზე იქნა გადატანილი, განვლილი, ზიზღით აღსავსე რეაქციის დროს, რევოლიუციონურ-მარქსისტული არალეგალური მუშაობა, მათში მრავალნი არიან ჭაღარით შეეერცხლილი ძველი რევოლიუციონერები. ესენი არიან მუშები სულით გულით და პროფესიით. ეს მოვლენა საგულისხმოა უფრო იმით, რომ ახალი დროისთვის საჭირო ცოდნა-მომზადება გადადის პირდაპირ ნამდვილ მუშათა გულში, მათს შემტკიცულ რიგებში, სადაც ყოველი სიტყვა და ლოზუნგი ისეთივე სიცხოველით უღვივით გულში, როგორც ოცი რეაქციონური წლების განმავლობაში ღვიოდა რევოლიუციის გამარჯვებას რწმენა.

მივცეთ მუშებს ცოდნა და მე მრწამს, რომ ის არ ჩაივლის უნაყოფოდ. მე მწამს და მსურს ზოგი „ტალახის" მსროლელნიც დავარწმუნო რომ,

„თუ საძირკველი დანგრეულია
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია".

ხელის შეწყობა მუშათა ფართო წრეების გათვითცნობიერებაში, აი რაგზით შეიძლება სპეცებისაგან განთავისუფლება და მუშების ჩაბმა მართვა გამგეობის საქმეში.

მუშა ზაქარია.

კავშირები უნდა გაიწმინდოს

დღეს ყველამ უწყის, რომ კავშირები არის ბრძოლის ორგანიზაცია ეკონომიურ ნიადაგზე მან როგორც ასეთმა უნდა მოუყაროს თავი მშრომელ ხალხს განსაკუთრებით პროლეტარულ ელემენტებს. პროფესიანალური კავშირი იბრძვის თავის წევრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ეს ხდება იმ ქვეყანაში სადაც მუშებს არ აქვს ძალაუფლება ხელში სახელმწიფო მართვა გამგეობისა. მაგრამ აქ ჩვენს ქვეყანაში, ხელისუფლება ჩვენია. აქ პროფორგანიზაციის ამოცანა შემდეგია: ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს და დაიცოს შრომის კანონები. უნდა აწარმოვოს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობა მუშა-მოსამსახურეებში. მაგრამ აქ არის ერთი პატარა ნაკლი დასახელებულ დარგში თვალსაჩინო ალაგი უჭირავს პრესას და მის გავრცელებას განსაკუთრებით მუშებში. ამ მხრივ საქმე მოიკოკლებს იმით, რომ აუარებელ გამოცემებს ვერ ვკითხულობთ მუშები.

მე ვფიქრობ: უეჭველათ შემცირებული უნდა იქნეს ყოველ დღიურ გამოცემათა რიცხვი, რადგან ხარჯებიც ბევრია და ძალებიც დაქსაქსულია. გაზეთების რიცხვის შემცირება, მის შინაარსსაც გაუმჯობესებს და ტირაჟიც აიწევს. სჯობს იყოს ცოტა და კარგი, ვინემ ბევრი და უვარგისი. კავშირმა რომ თავის დანიშნულებას ემსახუროს ამისათვის მან პირველ ყოვლისა უნდა გაწმინდოს კავშირი ულირსი წევრებისაგან და კულაკებისაგან ამ მხრივ საყურადღებო უმთავრესად რკ. გზები. არის ბევრი მოსამსახურე, რომელსაც ოჯახი კარგათ აქვს მოწყობილი. ყავს ხარები, ძროხები, აქვს სახლები, აქვს მიწა. ამისთანა პირები თუ სპეციალობის მიხედვით არ არის აუცილებელი, უნდა გაიწმინდოს კავშირიდგან. მას არ უნდა ქონდეს ერთი ფეხი ქალაქში და მეორე სოფელში. გარდა ამისა, არიან კიდევ რკინის გზაზე ძველათ ბოროტებით გაშავებულები, ისინიც უნდა დაიფერთხონ კავშირიდგან. კულაკებისა და მათი მზგავსების გაწმენდა კავშირებიდგან საჭიროა და აუცილებელი. ეს მისცემს პროფკავშირს საშვალებას ემსახუროს თავის დანიშნულებას პირნათლათ.

უჩინარი.

საჭიროა კულტურული მუშაობა უმუშევართა შორის.

თუ სადმეა საჭირო კულტურული მუშაობა, მით უფრო აუცილებელია ეს უმუშევართა შორის.

რაიონებში კავშირების კულტგანყოფილება აწარმოებს ამ დარგში მუშაობას, მაგრამ უმუშევრები ამით ვერ სარგებლობენ, ისინი ლუკმა პურის ძებნაში არიან და თავს იყრიან შრომის ბირჟაში. აქ ელოდებიან სამუშაოზე მოთხოვნილებას და უმუშევრების საკმაოდ დიდი რიცხვი აქვე ატარებს მთელ დღეს, რადგან ხშირად შემთხვევა რომ უმუშევარი რაიონულ სამკითხველოში წასულა და ამ დროს კი ბირჟაში მოთხოვნილება მოსულა. რადგან მორიგი სამუშაოზე გასაგზავნი უმუშევარი არ აღმოჩენილა ბირჟაში, მისი ადგილი შემდეგ უმუშევარს დაუჭერია. ამიტომაა რომ შრომის ბირჟაში დიდძალი უმუშევრები იყრის თავს და მთელი დღე ელოდება სამუშაოს.

შრომის ბირჟაში უმუშევარი ახალგაზრდობა მთელი დღე ერთობა ქუჩური თამაშით. ხშირად ბირჟის შენობაში გავლა გიძნელდებათ ამის გამო. ეს არ იქნება რომ იყოს სამკითხველო. უმუშევრები, დიდი სიამოვნებით გაერთობოდნენ აქ წიგნების და გაზეთების კითხვით. ერთ და იმავე დროს სამუშაოსაც დაელოდებოდნენ და ცოდნასაც შეიძენდნენ. უმუშევართა შორის კულტ-მუშაობას არსად არ შეუძლია მოიტანოს ისეთი ნაყოფი როგორც აქ, შრომის ბირჟაში თუ ექნება უმუშევარს ამის საშვალება. აუცილებელია აქ ბიბლიოთეკა-სამკითხველო და კულტურული მუშაობის წარმოება.

აქ თავმოყრილია უმუშევრები ყველა კავშირებიდან და ამიტომ ყველა კავშირების უმუშევართა შორის კულტმუშაობის ცენტრიც უნდა იქნეს შრომის ბირჟაში.

შავი მუშა.



ნერილები პროვინციიდან.

გარე კახეთი.

გარე კახეთის ცენტრათ ითვლება სართიჭალა. ამ რაიონში შედის 52 სოფლამდის,

მოკლე ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრის გაკეთება შესძლო.

წინათ აქ არ იყო თეატრი—კლუბი, არ იყო ქუჩები განათებული, დღეს არის.

არ იყო სამკითხველო.—დღეს გახსნილია და ჟურნალ-გაზეთებიც მოდის.

განზრახულია კიდევ დიდი მუშაობა. ეხლახან გაიხსნება საავადმყოფო. ექიმები უკვე მოსული და შენობაც ნაჩვენები არის.

იწყება დიდი მუშაობა სართიჭალაში შენობების აგების მიზნით. უნდა აგებულ იქნეს ისეთი შენობა, რომელშიაც მოთავსდება ყველა საბჭოთა, პარტიული და კულტურული დაწესებულებები.

რაიონში გაყვანილია არხები, გზები, შეკეთებულია ძველი. რაიონში (სხვა და სხვა სოფლებში) არსებობს რძის ჭარხანა, შემნახველ გამსესხებელი ბანკი და სხვა.

რაიონი სავსე იყო ქურდებით და ყაჩაღებით, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდენ ხალხს.—დღეს მათი ჯაჭანებაც არსად სჩანს.

სართიჭალის რაიონი პოლიტიკურად ძალიან ჩამორჩენილი იყო.

დღეს აქ იშვიათად ნახავთ, რომ რომელიმე კომპანია არ ტარდებოდეს: ეწყობა მიტინგები, ტარდება კონფერენციები. უპარტიო გლეხობა ჩათრეულია მუშაობაში და აქტიურ მონაწილეობას იღებს რაიონის ყოფა-ცხოვრების საკითხების გადაწყვეტა—მოწესრიგება.

მოსავალს კარგი პირი უჩანს იქ, სადაც არის მორწყული, ხოლო ურწყავ ადგილებში უთოვლობის (ზამთარში) და უწვიმობის გამო ეხლა, მოსავალი იქნება ცუდი.

ასეთია საერთო სურათი სართიჭალის რაიონის. თან და თანობით შეეცდებით მნიშვნელოვან სოფლების შესახებ ცალკ ცალკე ცნობების მოწოდებას, რომ სრული სურათი იქნეს იმ დიდი მუშაობის, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გაკეთა ჩვენში.

ტურა.

საჭიროა მეტი უურადღება!

(ზემო იმერეთი).

ჯერ კიდევ ნიკოლოზის რეჟიმის დროს ვეწინააღმდეგებოდით სოფლათ „საუფლო“ დღესასწაულებს, ქორწილ-ნათვლებს და სხვა ასეთებს. რევოლიუციის შემდეგაც სატიკი ბრძოლა დაიწყო ამ ფრონტზე, ერთხანს მართლაც ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო. შესწყდა უაზრო „დღეობები“. ხალხიც დიდი კმაყოფილი იყო, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთმა ვაჟ-ბატონმა ისევ ძველი, დამავსებული მამა-პაპური ზნე ჩვეულება გამონახა. დღეს ისევ, როგორც წინათ, არას მქონე უკანასკნელ კაპიკს ხარჯავს და „საუფლო“ დღესასწაულებს, ქორწილ-ნათვლებს და ქელეხებს მართავს. ოჯახში მყოფ ღარიბ-ღატაკ ცოლ-შვილს კი მშიერ-მწყურვალს სტოვებს. რათ ხდება მერე ეს!?—იმიტომ, რომ ზოგიერთები ვერა სდგას თავის სიმაღლეზე. თვალყურის დევნების ნაცვლად, ასე გასინჯეთ, ისინი მხურვალე მონაწილეობასაც კი იღებენ ხოლმე „ქეიფებში“. გლეხის ზარალს თავი გავანებოთ, რომ ჩხუბები მაინც არა ხდებოდეს. ღვინით გალეშილი ხალხი ერთიმეორეს ცხვირპირს ამსხვრევს.

ეს აუცილებლათ უნდა მოისპოს.

მოისპობა კი მაშინ თუ ლოთობას სხვა გასართობებს დაუპირისპირებთ სოფლათ. ამ მხრივ სოფელს ყურადღება სჭირია, თორემ ის კიდევ გაებმება ცრუმორწმუნოების და „ძველ ჩვეულებათა“ ქსელში.

„ის—ბილის ნ—ული“.

პოლიტიკური მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე).

ამ ჟამათ პოლიტიკურ ჰორიზონტზე, უმთავრეს ყურადღების ცენტრად გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი რჩება ისევ. გასულ კვირის განმავლობაში პოლიტიკურ ცხოვრების ზედაპირზე პოლონეთიც ამოტივტივდა, თავის საპასუხო ნოტით, ამხ. ჩიჩერინის მიმართვაზე.

ს. ს. რ. კავშირის და სხვა სახელმწიფოებს შორის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გართულებას პოლონეთთან, ურთიერთობა ჩვეულებრივი კალაპოტიდგან, გასულ კვირასთან შედარებით, არ გამოსულა.

მიმდინარეობს ს. ს. რ. კავშირის და იაპონიის კონფერენცია, რომლის მუშაობა ჯერ-ჯერობით არ შეფერხებულა; მიმდინარეობს აგრეთვე ჩინეთისა და ჩვენი კონფერენცია მიუხედავათ იმისა, რომ ამის სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ ჩინეთის „მფარველები“.

შეუცვლელი რჩება ჩვენი ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

მაზუთტში გასვრილი „მოღვაწენი“ კვლავ განაგრძნობენ აგიტაციას ჩვენი კავშირის წინააღმდეგ. თუმცა უკანასკნელ ხანებში, ალბათ ევროპის ამბების ზეგავლენით, იქაც გაისმის ხმები ჩვენთან ურთიერთობის განახლების შესახებ.

აღსანიშნავია კიდევ ერთი კომიკური, ტრაგიული რომ არ იყო ხალხისთვის, ფაქტი. როგორც ვიცით ბალტიის ზღვის ნაპირებზე დაარსებულია რამოდენიმე „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოები, მათ შორის ლიტვაც.

გასულ კვირაში ამ „დემოკრატიულ“ სახელმწიფოში არაჩვეულებრივი მოვლენა მოხდა.

ფინანსთა მინისტრმა, გაიტაცა ხაზინის ფულები საკმაოთ დიდი რაოდენობით და საზღვარგარეთ გაქუსლა.

ეს ფაქტი დამახასიათებელია „დემოკრატიის“, რომელიც დღეს მართავს ამ სახელმწიფოს. ამ „დემოკრატიის“ მეთაური მინისტრი ყაჩაღი და ქურდი გამოდგა. რა თქმა უნდა ეს ფაქტი საკმაოთ დიდი მნიშვნელობის არის ლიტვის მშრომელი ხალხისათვის.

ის დაინახავს დაბოლოს ვის ხელში არის მისი ბედი და იღბალი და აქედან შესაფერ დასკვნებსაც გამოიტანს.

ასეთია მდგომარეობა საერთოდ.

* * *

საფრანგეთის არჩევნების შემდეგ ჯერ ახალი პალატა არ შეკრებილა, მაგრამ უკვე დაიწყო მთავრობის ძიების ციებცხელება.

უკვე თითქმის გამორკვეულია, რომ ახალ მთავრობაში შევლენ რადიკალები, ხოლო მთავრობის სათავეში ერრიო იქნება.

სოციალისტები ჯერჯერობით მთავრობაში მონაწილეობაზე უარს აცხადებენ.

მომავალმა პრემიერმა უკვე დაიწყო მზადება მთავარ მინისტრათ „კურთხევისათვის.“ მას რამოდენიმეჯერ ჰქონდა თათბირი პუანკარესთან, რომელიც მამაშვილურ დარიგებას აძლევს. ბ-ნ ერრიომ უკვე დაიწყო დეკლარაციები და მიმართვები საფრანგეთის ხალხისადმი და მთელი კაცობრიობისადმი.

ერთ ერთ ასეთ დეკლარაციაში საფრანგეთის მომავალმა პრემიერმა მოწოდებით მიმართა „რესპუბლიკანურ დემოკრატიული და მშვიდობის მოყვარე საფრანგეთის მეგობრებს მთელს მსოფლიოში“,—დაეხმარონ მას რეაქციონერებზე გამარჯვების შედეგების რეალიზაციაში.

თავის ახალ, ახალ დეკლარაციებში ერრიო ბევრ დაპირებებს იძლევა. მას არც მისი კოლლეგა პენლევე ჩამორჩება. (უკანასკნელს ასახელებენ ახალი პალატის თავმჯდომარეთ).

პენლევესა და პუანკარეს შორის საგარეო საკითხების შესახებ თათბირის დროს, პენლევემ მოითხოვა, რომ საფრანგეთი უნდა შეუერთდეს იმ შემრიგებელ მეგობრულ პოზიციას, რომელიც დაიკავა მაკდონალდმა სარეპარაციო საკითხშიო. მომავალ მთავრობას აფიქრებს აგრეთვე საკითხი გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

სახელმწიფოს ბიუჯეტში წონასწორობის დამყარების საკითხში ერრიო და პენლევე სავსებით შეუერთდენ წინანდელი მთავრობის აზრს.

„მატენ“ უმატებს, რომ თათბირის დროს განხილული იყო აგრეთვე საკითხი საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ. ერრიომ მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირთან ოფიციალური ურთიერთობის განახლებას. ის გერმანიისადმი წარმოებულ პოლიტიკის შეცვლასაც გვპირდება. გაზეთების გადმოცემით ერრიომ განაცხადა: „თუ მე ხვალ ავიღებ ძალაუფლებას, გერმანიას შეუძლია ნდობით მომეპყრას. მე მინდა მივცე მშვიდობიანობა გერმანიის ხალხს და მოვსპო ევროპის ერებს შორის შეტაკების შესაძლებლობა.“ როგორც ვხედავთ „მომავალი“ პრემიერი, რუსები რომ იტყვიან, „мягко стелет.“ (რბილათ აგებს).

ჩვენ გვეშინია, რომ გატყავებულ გერმანიის ჩონჩხისათვის მაინც საკმაოთ მაგარი იქნება ის საწოლი, რომელსაც ბატონი ერრიო უმზადებს.

* * *

გერმანიის არჩევნების შედეგი ჩვენმა მკითხველებმა უკვე იცის.

ამ დღეებში გაიხსნა ახალი რეიხსტაგი. რეიხსტაგის შენობას იცავდენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები. ფარული პოლიციის აგენტები გაგზავნეს რეიხსტაგში, რომ სხდომის გახსნამდი დაეპატიმრებიათ ის კომუნისტი დეპუტატები, რომლებსაც პოლიცია დაეძებდა.

პირველი სხდომა გახსნა უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ, სოციალისტ დეპუტატმა ბოკმა. მიუხედავათ იმისა, რომ მთელი სხდომა მოუნდა რეიხსტაგის ჩამოყალიბების საკითხებს, სხდომა მეტათ მღელვარე იყო, რადგან კომუნისტებმა პრეზიდიუმის არჩევამდე აღძრეს საკითხი პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების შესახებ.

სხდომის გახსნისას რეიხსტაგში იყო 50 კომუნისტი დეპუტატი, **თორმეტი კომუნისტი-დეპუტატის სხდომის გახსნამდი დაპატიმრეს.** ამიტომ რეიხსტაგის პირველი სხდომა გადაიქცა კომფრაქციის დემონსტრაციად. კომუნისტებმა მოითხოვეს დაპატიმრებულ კომუნისტ-დეპუტატების და სხვა პოლიტიკურ პატიმართა დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

სხდომის გახსნის დროს რეიხსტაგში ისმის კომუნისტების აღელვებული ხმები.

დეპუტატების გვარების ცალცალკე დასახელების დროს კომუნისტები ფშტვენით და დაცინვით ხვდებოდენ რეაქციონერების გვარებს. კომუნისტმა კეტცმა მოითხოვა პოლიტიკური ამნისტიის საკითხის სასწრაფოდ განხილვა. მემარჯვენეებმა და ცენტრმა პროტესტი განაცხადეს.

კომუნისტებმა ტოლენმა და კენენმა ხელმეორეთ მოითხოვეს კომფრაქციის წინადადების დაუყონებლივ განხილვა და მოიყვანეს ვრცელი ცნობები თუ რა პირობებში მოხდა კომუნისტ-დეპუტატების დაპატიმრება.

კომუნისტი გელმენი მოითხოვს ამნისტიის საკითხის სასწრაფოდ განხილვას.

კომფრაქცია მღერის ინტერნაციონალს, მას ეხმარება დამსწრე საზოგადოების პროლეტარული ნაწილი.

მემარჯვენეებმა დაიწყეს პატრიოტული სიმღერები, მაგრამ კომუნისტებმა ჩაიჩუმეს.

თავჯდომარე, სოციალ დემოკრატი ბოკი, იხურავს ქუდს და მიდის, მიდიან სხვა დეპუტატებიც კომფრაქცია რჩება რეიხსტაგში და განაგრძობს ინტერნაციონალს.

ასე დასრულდა რეიხსტაგის პირველი სხდომა.

რეიხსტაკის გახსნისთანავე, გაცხოველდა ახალ მთავრობის ძიება. საერთო აზრი ჯერ ჯერობით ასეთია, რომ მთავრობის სათავეში ისევ მარქსი ჩადგება, კაბინეტში მცირე ცვლილების მოხდენის შემდეგ.

ყოველ შემთხვევაში მნიშვნელონია ცვლილება მთავრობის გერმანიაში მოსალოდნელი არ არის, რადგან არც ერთ პარტიას არ შეუძლია დამოუკიდებლათ დაეყრდნოს პარლამენტის უმრავლესობას, ხოლო უამისოდ უნდა შედგენილი იქნეს ისევ კოალიციური მთავრობა. ვნახოთ რას მოგვიტანს ახლო მომავალი, თუ გერმანიის რეიხსტაგი არ დაითხოვენ.

* *
*

გასულ კვირაში ინგლის—ს. ს. რ. კავშირის კონფერენციაზე კლავ ვალების საკითხი ირჩეოდა. ბევრი გულის ფანცქალით უცდიდა ამ მომენტს და ფიქრობდა, რომ აქ ჩაიშლებოდა კონფერენცია. მაგრამ თან და თან ირკვევა, რომ მოლაპარაკება ნორმლურად მიმდინარეობს და საგრძნობ გართულებას არც ამ საკითხების გარშემო ექნება ადგილი. ყოველ შემთხვევაში ასეთია შთაბეჭდილება ჯერ ჯერობით.

27 მაისს კვლავ შესდგა კონფერენციის პლენუმის სხდომა.

ოფიციალური ცნობის თანხმად საბჭოთა დელეგაციამ პირველ ყოვლისა კითხვა დაუსვა ბრიტანეთის დელეგაციას, მისაღებია თუ არა უკანასკნელისათვის საბჭოთა დელეგაციის განცხადება წინანდელ სხდომაზე იმის შესახებ. რომ საბჭოთა მთავრობა ვერ დასთანხმდება ომამდის არსებულ ვალების გადახდაზე სრული მათი რაოდენობით.

ბრიტანეთის დელეგაციამ უპასუხა რომ ეს განცხადება მიუღებელია.

საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ თუ ბრიტანეთის მთავრობას მართლა განზრახული აქვს დაჟინებით დაემყაროს იმ ფორმულას, რომელიც აიძულებდა საბჭოთა მთავრობას გადაიხადოს ომამდის არსებული ვალები სრული რიოდენობით და პროცენტებით განვლილი დროისათვის, მაშინ ეს ფაქტი მიიღებს იმ ზომ დიდ მნიშვნელობას, რომ აბსოლიუტურად აუცილებელი გახდება, სანამ სხვა საკითხებზე გადავიდოდეთ, საბოლო შეთანხმების მიღწევა ამ მუხლში.

ბრიტანეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ მას განზრანული არ აქვს წარუდგინოს საბჭოთა მთავრობას უაზრო მოთხოვნილებები, ომამდი არსებულ ვალებიშესახებ; დელეგაცია არ ფიქრობს, რომ ეს ვალები გადახდილი უნდა იქნეს სავსებით და დაუყოვნებლივ.

არ გამოუწვევია დიდი შეხლაშემოხლა ჯერ არც კერძო პრეტენზიების საკითხს.

საბჭოთა დელეგაციამ შემდეგი მოსაზრება წარადგინა ამის შესახებ კონფერენციაზე:

„ორთავე მთავრობა გამოარკვევს საერთო ჯამს დასაბუთებულ და ცნობილ წვრნლ პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, განსაზღვრავს რა მაქსიმალურ თანხას, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს პრეტენზიების თვითეულ ცალკე ჯგუფის მიხედვით. ამასთან ერთად ამ საკითხში შეთანხმებით დამტკიცებისას უქმდება 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულების მე-10-ე მუხლი და ძალაში შედიან ბრიტანეთში საბჭოთა მთავრობის საკუთრების უფლებები“.

ამის საპასუხოთ ბრიტანეთის დელეგაციამ, ჩვენს დელეგაციას აცნობა, რომ ის გულდასმით განიხილავს ჩვენს წინადადებას და ყველა სადაო საკითხების გადაჭრას ორთავე მხარისათვის მისაღებათ, ხელს შეუწყობს.

ბრიტ ნეთის დელეგაცია თავის განცხადებაში თანახმა გახდა, რომ საბჭოთა დელეგაციის შეხედულებები ომამდი არსებულ ვალების, მესაკუთრეების პრეტენზიების და სხვა საკითხების შესახებ უნდა განხილულ იქნენ დიდი სიფრთხ ლით. ბრიტანეთის დელეგაცია სახეში მიიღებს საბჭოთა მთავრობის ეკონომიური დაბრკოლებებს. ოელეგაციას არ სურს წარუდგინოს საბჭოთა მთავრობას უაზრო მოთხოვნილებები.

ძალაუფლების ხელში აღებით ბრიტანეთის ეხლანდელმა მთავრობამ დაამტკიცა თავისი კეთილი განზრახვები საბჭოთა კავშირის მიმართ-ო განაცხადა დასასრულ ბრიტანეთის დელეგაციამ.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა კავშირს მტრებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ჩქარა ენაც მუცელში ჩაუვარდებათ.

ქ რ ო ნ ი კ ა.

◆ ორ ივნისიდან მთელ საქართველოში ტარდება გორის აღდგენის კვირეული.

◆ **ქ. ფოთში** იტალიელ გემზე „კოსინია“-ზე გაიფიცა მეზღვაურები ისინი მოითხოვდენ ხელშეკრულებაში აღნუსხულ პირობის ასრულებას. მიუხედავათ ფაშისტ მეთაურების მუქარისა, მეზღვაურებმა გაიმარჯვეს.

◆ **სამხრეთ ოსეთის** ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ საქართველოს მთავრობამ გადასდო განსაკუთრეული თანხა,

◆ **სახალხო** კომისართა საბჭომ დაადგინა: იშუამდგოზლოს ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა გამოიმუშაოს სათანადო წესები მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირების დროზე მისაცემად.

◆ „ჩემოს“ საზღვარ გარეთ არსებულ კომიტეტში საქართველოს მთავრობამ დანიშნა თავისი წარმომადგენელი.

◆ **მსახიობი ვასო აბაშიძე** მთავრობის დადგენილებით აყვანილია სახელმწიფოს სრულ უზრუნველყოფაზე.

◆ **თბილისში** გაიხსნა სამრეწველო ბანკი.

◆ **მემარჯვენე ფედერალისტებში** კარგათ ცნობილმა ქრისტ. რაქველიშვილმა და მ. საყვარელიძემ გამოაქვეყნეს განცხადება აღნიშნულ პარტიიდგან გასვლის და საბჭოთა პლატფორმაზე დადგომის შესახებ.

◆ უკვე დაიწყო ახალგაზრდების მორიგი გაწვევა საქართველოს წითელ ჯარში.

◆ ა. კ. ფინანსთა კომისარიატმა კვლავ მიიღო ხურდა ფული; ამჟამათ ვერცხლის ათ შაურიანი და ერთ ბნეთიანი.

სხვა და სხვა ამბები.

რუსეთი.

✦ **მენშევიზმის ლიკვიდაცია.** დონის როსტოვში მენშევიკურ პარტიის სალიკვიდაციო ბიუროს მიერ მიღებულია მრავალი განცხადებები პარტიიდგან გასვლის და საბჭოთა პლოტფორმაზე დადგომის შესახებ

✦ **ყოფილ მენშევიკების** ურალის ყრილობამ დაშლილად გამოაცხადა მენშევიკური ორგანიზაციები.

✦ 23 **მაისს** მოსკოვში გაიხსნა რ. კ. პ. მე XIII ყრილობა—ყრილობამ მიიღო მისასალმებელი წერილები გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის და სხვა ქვეყნების კომპარტიებისგან.

✦ **ყრილობამ** მოიწონა ცეკას პოლიტიკური და ორგანიზაციული **ხაზი.**

✦ **მოსკოვში** 26 მაისს დიდის პატივით დაასაფლავეს ძველი მუშა რევოლიუციონერი ამხ. ნოგინი.

✦ **სრულიად რუსეთის** პროფკავშირთა ყრილობა გადაიდო შემოდგომისთვის.

გერმანია.

✦ **რურში** გაფიცვები სწარმოებს. გერმანიის კომისარის ცდა, მოეგვარებია კონფლიქტი უშედეგოთ დამთავრდა. კომუნისტების გავლენა გაფიცულთა შორის ძლიერდება.

✦ **გაიხსნა გერმანიის** რეიხსტაგი. პირველ სხდომაზე კომუნისტებმა მოითხოვა ამნისტია, პოლიტიკურ პატიმრებისთვის.

✦ **რეიხსტაგის პირველ** სხდომაზე კომფრაქციამ დემონსტრაცია გამართა. კომუნისტი დეპუტატები და დამსწრე საზოგადოების პროლეტარული ნაწილი ინტერნაციონალს მღეროდენ.

— **გერმანიის** რეიხსტაგის გახსნამდის პოლიციამ 12 კომინისსტი დეპუტატი დაապատიმრა.

✦ **რეიხსტაგის** თავმჯდომარეთ არჩეულია ნაციონალისტი.

✦ **ცნობილი** რეაქციონერი ღენერალი ლიუდენდორფი არჩეულია რეიხსტაგის ნაციონალურ კომისიაში.

— **რეიხსტაგის** გახსნის დროს კომუნისტებმა ცნობილ შავრაზმელ ღენერალს ლიუდენდორფს სისხლით შეღებილი წითელი თაიგული მიართვეს.

— **რუსეთის გემი** „ინზელი“ რომელიც საბჭოთა დროშის ქვეშ შევიდა შტეტინში, **სამჯერ** გაჩხრიკა გერმანიის პოლიციამ.

✦ ჩვენმა დელეგაციამ ალძრა შუამდგომლობა ინგლისის მთავრობის წინაშე რათა ნება დართულ იქნეს **კარლ მარქსის** ნეშთის მოსკოვში გადმოსვენება.

✦ 27 **მაისს** პონსონბის თავმჯდომარეობით, შესდგა ინგლის-საბჭოთა კონფერენციის სხდომა. კონფერენციაზე ინგლისის დელეგაციამ გამოაქვეყნა თავისი აზრი ვალების შესახებ.

✦ **უკანასკნელი** ცნობით ინგლისის ლორდთა პალატაში მეიომ და **კერზონმა** გაილაშქრენ ს. ს. რ. კავშირის **და** ინგლისის კონფერენციის წინაღმდეგ. ისინი მოითხოვდენ კონფერეციის შეწყვეტას.

საფრანგეთი.

✦ ერრიომ განაცხადა, რომ ის მჭიდროდ ითანამშრომლებს ინგლისთან.

✦ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ მან განაცხადა, რომ დაუცდის ლონდონის კონფერენციის მუშაობის დამთავრებას

✦ **საფრანგეთის** კომპარტია აწყობს მიტინგებს, სადაც კომუნისტი ორატორები ილაშქრებენ მემარცხენე ბლოკის წინააღმდეგ.

✦ გამოქვეყნდა პუანკარეს **და** მაკდონალდას მიწერ მოწერა.

✦ პუანკარე დასტოვებს **პრემიერობას** დღეს პირველ ივნისს.

— **მოითხოვენ** მილერანის **გადადგომას,** რესპუბლიკის პრეზიდენტის **თანამდებობიდან.**

ხსვა და სხვა.

✦ **მოლაპარაკება იაპონიასთან წარ**მატებით მიმდინარეობს.

✦ **იაპონია** არ მოითხ.ივს მეფის ვალების გადახდას.

✦ იაპონიის ელჩმა დასტოვა ვაშინგტონი (ამერიკა), მიზეზი მათთვის ამერიკაში იმმიგრაციის აკრძალვა არის.

✦ **ლიტვის მინ სტრი ქურდი.** ლიტვის ფინანსთა მინისტრმა პეტრულისმა გაიტაცა 1.500.00 დოლარი და ორასი ათასი ოქროს მარკა.

— **პოლონეთში** მძინვარებს რეაქცია. მთავრობა ავიწროებს ეროვნულ უმცირესობებს. ამის გამო იმართება საპროტესტო დემონსტრაცები.

✦ **სირიაში** აჯანყება ფართოვდება, **საფრანგეთის ჯარები** იძულებული არიან უკან დაიხიონ.

✦ **აჯანყებულები** მოითხოვენ ფრანგების გასვლას სირიიდან.

— **მეცნიერმა** მაიუზმა, გამოიგონა მანქანა, რომელიც ჰკლავს ადამიანს მანძილზე ელექტრონის საშუალებით.

წერილი რედაქციის მიმართ.

1899 წლიდან მე ვეკუთნოდი სოც. დემოკრ. მუშ. პარტიას. **1908** წ. თბილისის საოლქო სასამართლოს დადგენილებით ყოველივე ღირსების აყრით, მე სამუდამოდ გადასახლებულ ვიქმენ ციმბირში. დავბრუნდი თბილისში **1921** წ. და ამ დღიდან ვიყავ უპარტიოთ. ეს დრო საკმარისი იყო რომ დავრწმუნებულიყავი იმაში რომ კომუნისტური პარტია არის ერთად ერთი ჭეშმარიტი პარტია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მუშათა კლასის განთავისუფლება მძარცველ ბურჟუაზიის ბრჭყალებიდან. ამიტომ მე დღეიდან ზურგს ვაქცევ სოციალ დემოკრატიულ მენშევიკურ პარტიას და მსურს ჩემ ამხანაგებთან ერთად ვიმუშაო მუშათა და გლეხთა ხელისუფლების გასამტკიცებლად.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

გაუმარჯოს პროლეტარულ დიქტატურას.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

ივ. გ. მანჯავიძე.

ფ ო ს ტ ა.

ფოთში, ამხ. ვ. მახარაძეს. თქვენი წერილი მიიღო რედაქციამ. მიქცეულია სერიოზული ყურადღება თქვენ მიერ აღძრულ საკითხისადმი.

სარედაქციო კოლეგია:
ნ. ჩლაიძე.
ა. ფარნიევი.
ა. რუხაძე.
კ. თოფაძე.
გ. ვარდიიანი.

ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 3-მე სტამბა შეკვ. № 1104 ნებადართულია ლიტ. და გამ. მთავ. მართ. მიერ № 1461 ტირაჟი 1300.